# საბანკო პროდუქტებით მომსახურების სტანდარტული პირობები

სარჩევი

**1.** ტერმინთა განმარტება ... 3
**2.** საბანკო პროდუქტით სარგებლობის ზოგადი პირობები ... 8
3. მხარეთა უფლება-მოვალეობები ... 9
4. ანგარიშის, დავალების მიღების, ოპერაციის განხორციელებისა და სხვა საბანკო მომსახურებით სარგებლობის ზოგადის წესები ... 11
5. მხარეთა პასუხისმგებლობა ... 14
6. ფორს-მაჟორი ... 14
7. ანგარიშსწორება ... 14
8. კომუნიკაცია ... 14
9. კონფიდენციალურობა და კლიენტის პერონალური მონაცემების დამუშავება ... 15
**10.** პრეტენზიები და დავები ... 16
**11.** ხელშეკრულების პირობების ცვლილება ... 17
12. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა ... 17
13. ზოგადი პირობები ... 17
დანართი **2** - ბარათი ... 19
თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ჩამონათვალი ... 21
დანართი 3 - ვადიანი დეპოზიტი ... 23
დანართი 4 - ვადიანი ზრდადი დეპოზიტი ... 25
დანართი 5 - ნომინალური მფლობელობის ანგარიში ... 27
დანართი 6 - მოთხოვნამდე დეპოზიტი ... 28
დანართი 7 – icredo.ge ინტერნეტ-ბანკი ... 29
დანართი 8 - ონლაინ ბანკი ... 33
დანართი 9 – SMS შეტყობინებები ... 36
დანართი 10 – რჩეული მომსახურება ... 37
დანართი 11 – იმეილ ბანკინგი ... 38
დანართი 12 - საბავშვო დეპოზიტი ... 40
დანართი 13 - ბიზნეს ბარათი ... 41

დანართი 14 - კლებადი დეპოზიტი ........................................................................................................ 43
დანართი 15 - პოს-ტერმინალითა და MyCredo Terminal აპლიკაციით მომსახურების პირობები.... 45
დანართი 16 - ერთობლივი დეპოზიტი ................................................................................................ 54
დანართი 17 - კრედო უნივერსალი.........................................................................................................55
დანართი 18 - იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკი business.mycredo.ge..............................................56

## 1. ტერმინთა განმარტება

1.1. **ამონაწერი -** ინფორმაცია, **ანგარიშზე** თანხის ბრუნვის შესახებ.

1.2. **ანგარიში - ბანკში** არსებული **კლიენტის მიმდინარე ანგარიში, ერთობლივი მიმდინარე ანგარიში, ნომინალური მფლობელობის ანგარიში, სადეპოზიტო ანგარიში** ან/და **ერთობლივი სადეპოზიტო ანგარიში**.

1.3. **ბანკი -** სს „კრედო ბანკი", საიდენტიფიკაციო კოდი: 205232238; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. N27.

1.4. **ბარათი** - არაპერსონიფიცირებული ან/და პერსონიფიცირებული სადებეტო ბარათი, რომელიც **კლიენტს** საშუალებას აძლევს განკარგოს **ბარათთან** დაკავშირებულ **მიმდინარე ანგარიშზე** არსებული თანხა და რომლით სარგებლობის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 2**-ით.

1.5. **ბიზნეს ბარათი** – არაპერსონიფიცირებული ან/და პერსონიფიცირებული სადებეტო ბარათი, რომელიც **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირი** საშუალებას აძლევს განკარგოს **ბარათთან** დაკავშირებულ **კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე** არსებული თანხა და რომლით სარგებლობის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 13**-ით.

1.6. **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირი** - **კლიენტის** წარმომადგენელი, რომელსაც მფლობელობაში გადაეცემა **ბიზნეს ბარათი** და რომელიც უფლებამოსილია განკარგოს **ბიზნეს ბარათთან** დაკავშირებულ **კლიენტის ანგარიშზე** არსებული ხელმისაწვდომი თანხა.

1.7. **გადარიცხვა - ანგარიშზე** არსებული თანხის უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადარიცხვა **მიმღების** შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

1.8. **გადახდა - კლიენტის** მიერ **მიმღების** სასარგებლოდ თანხის გადახდა, **კლიენტის ანგარიშის** გავლის გარეშე.

1.9. **განაცხადი - კლიენტის** მიმართვა **ბანკისადმი (ბანკის** მიერ დადგენილი ფორმით), რომ **ბანკმა** აღნიშნული განაცხადით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, განახორციელოს/შეაჩეროს/შეწყვიტოს/შეცვალოს/ **საბანკო პროდუქტით** მომსახურება.

1.10. **დავალება - კლიენტის** ან/და **მიმღების** ნებისმიერი სახის მითითება **ბანკისადმი**, მათ შორის **საგადახდო დავალება**, რომლითაც **კლიენტი** ან/და **მიმღები** ავალებს **ბანკს** რაიმე ქმედების განხორციელებას **საბანკო პროდუქტის** ფარგლებში.

1.11. **დამატებითი მომხმარებელი - ძირითადი მომხმარებლის** მიერ, იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკის **www.business.mycredo.ge** საშუალებით ან **კლიენტის განაცხადის** საფუძველზე გააქტიურებული მომხმარებელი, რომელსაც ამავდროულად გააქტიურებული აქვს ფიზიკური პირების ინტერნეტ-ბანკი www.mycredo.ge.

1.12. **დამოუკიდებელი ავტორიზაციის მომხმარებელი - ძირითადი მომხმარებლისთვის** განკუთვნილი **დამატებითი მომხმარებლის** სახელი (username) და პაროლი (password), რომლითაც მომხმარებელს წვდომა აქვს მხოლოდ იურიდიული პირის ინტერნეტ-ბანკზე **www.business.mycredo.ge** და არ არის განკუთვნილი **დამატებითი მომხმარებლისთვის.**

1.13. **დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო -** სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო.

1.14. **დეპოზიტის თანხა** - **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის ვადიანი დეპოზიტის**, **ვადიანი ზრდადი დეპოზიტის** ან/და **მოთხოვნამდე დეპოზიტის** ფარგლებში გადაცემული თანხა, რომელზეც **ბანკი** დროებით მოიპოვებს საკუთრების უფლებას.

1.15. **დისტანციური საკომუნიკაციო საშუალება** - კომუნიკაციის ისეთი საშუალება, რომელიც არ საჭიროებს **ბანკის** წარმომადგენლისა და **კლიენტის** ერთდროულ ფიზიკურ თანდასწრებას.

1.16. **ერთიანი ავტორიზაციის მომხმარებელი** - ერთიანი ავტორიზაციის სისტემა, რომლითაც **კლიენტი** ფიზიკური პირების ინტერნეტ-ბანკში mycredo.ge, იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკში business.mycredo.ge, ასევე **მობაილ ბანკში** ავტორიზაციას გადის ერთი და იგივე მომხმარებლის სახელით (username) და პაროლით (password).

1.17. **ერთობლივი დეპოზიტი - ერთობლივ სადეპოზიტო ანგარიშზე** წინასწარ განსაზღვრული ვადით **დეპოზიტის თანხის** განთავსება, (რომლის მოცულობის ზრდაც დასაშვებია ერთობლივი დეპოზიტის მოქმედების მთელი ვადის მანძილზე), რომელსაც **ბანკი** არიცხავს **საპროცენტო განაკვეთს** და რომლის გატანა შესაძლებელია მხოლოდ **მხარეთა** შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, ერთობლივი დეპოზიტის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 16**-ით.

1.18. **ერთობლივი მიმდინარე ანგარიში -** ერთზე მეტი **კლიენტის** ერთობლივი **მიმდინარე ანგარიში**.

1.19. **ერთობლივი სადეპოზიტო ანგარიში** - ერთზე მეტი **კლიენტის** ერთობლივი **სადეპოზიტო ანგარიში**.

1.20. **ვადიანი დეპოზიტი** - **სადეპოზიტო ანგარიშზე** წინასწარ განსაზღვრული ვადით **დეპოზიტის თანხის** განთავსება, რომელსაც **ბანკი** არიცხავს **საპროცენტო განაკვეთს** და რომლის გატანა შესაძლებელია მხოლოდ **მხარეთა** შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ვადიანი დეპოზიტის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 3**-ით.

1.21. **ვადიანი ზრდადი დეპოზიტი - სადეპოზიტო ანგარიშზე** წინასწარ განსაზღვრული ვადით **დეპოზიტის თანხის** განთავსება, (რომლის მოცულობის ზრდაც დასაშვებია ვადიანი ზრდადი დეპოზიტის მოქმედების მთელი ვადის მანძილზე), რომელსაც **ბანკი** არიცხავს **საპროცენტო განაკვეთს** და რომლის გატანა შესაძლებელია მხოლოდ **მხარეთა** შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, ვადიანი ზრდადი დეპოზიტის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 4**-ით.

1.22. **ვებ-გვერდი - ბანკის** სარგებლობაში არსებული შემდეგი ვებ-გვერდი: **www.credobank.ge**.

1.23. **icredo.ge ინტერნეტ-ბანკი - საბანკო პროდუქტი**, რომლით სარგებლობის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 7**-ით.

1.24. **icredo.ge ინტერნეტ-ბანკის ვებ-გვერდი - ბანკის** სარგებლობაში არსებული შემდეგი ვებ-გვერდი: **www.icredo.ge**.

1.25. business.mycredo.ge **იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკი - საბანკო პროდუქტი,** რომლით სარგებლობის დეტალური პირობები განსაზღვრულია სტანდარტული პირობების N18 დანართით.

1.26. business.mycredo.ge **იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკის ვებ-გვერდი - ბანკის,** სარგებლობაში არსებული შემდეგი ვებ-გვერდი: www.business.mycredo.ge.

1.27. **იმეილ ბანკინგი - საბანკო პროდუქტი**, რომლით სარგებლობის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 11**-ით.

1.28. **კანონმდებლობა -** საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ასევე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

1.29. **კლებადი დეპოზიტი - სადეპოზიტო ანგარიშზე** განსაზღვრული ვადით **დეპოზიტის თანხის** განთავსება, რომელსაც **ბანკი** არიცხავს **საპროცენტო განაკვეთს** და რომლის გატანა შესაძლებელია მხოლოდ **მხარეთა** შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. კლებადი დეპოზიტის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 14**-ით.

1.30. **კლიენტი -** პირი, რომლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია განაცხადში.

1.31. **კონვერტაცია** - ერთი ვალუტის შეძენა სხვა ვალუტით.

1.32. **კრედო უნივერსალი - საბანკო პროდუქტი**, რომლით სარგებლობის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 17**-ით.

1.33. **ლიმიტი - საბანკო პროდუქტით** სარგებლობის ფარგლებში, **ბანკის** მიერ დაწესებული რაიმე სახის ლიმიტი (მათ შორის თანხობრივი, რაოდენობრივი და სხვა).

1.34. **მესამე პირი -** ნებისმიერი პირი, გარდა **ბანკისა** და **კლიენტისა**.

1.35. **მიმდინარე ანგარიში** - **ბანკში** არსებული **კლიენტის** მიმდინარე ანგარიში.

1.36. **მიმღები -** პირი რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება **გადახდა** ან/და **გადარიცხვა**.

1.37. **მოთხოვნამდე დეპოზიტი - სადეპოზიტო ანგარიშზე** განუსაზღვრელი ვადით **დეპოზიტის თანხის** განთავსება, რომელსაც **ბანკი** არიცხავს **საპროცენტო განაკვეთს** და რომელზეც თანხის შეტანა, ჩარიცხვა, გადარიცხვა ან/და გატანა შესაძლებელია **კლიენტის** მოთხოვნისთანავე. მოთხოვნამდე დეპოზიტის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 6**-ით.

1.38. **მხარე/მხარეები - ბანკი** ან/და **კლიენტი** (კონტექსტის შესაბამისად).

1.39. **ნომინალური მფლობელობის ანგარიში - ბანკში** არსებული **კლიენტის ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიში** ან/და **ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიში** (კონტექსტის შესაბამისად) რომლით სარგებლობის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 5**-ით.

1.40. **ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიში –** ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიში, ადვოკატის, საადვოკატო ბიუროს, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ანგარიში, რომელიც გამოიყენება, **კანონმდებლობის** და ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე განსაზღვრული, მისი კლიენტის (კლიენტების) ან/და რეგისტრირებული მესაკუთრის (მესაკუთრეების) ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების ერთობლივად აღსარიცხავად.

1.41. **ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიში –** ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიში, ადვოკატის, საადვოკატო ბიუროს, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ანგარიში, რომელიც გამოიყენება, **კანონმდებლობის** და ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე განსაზღვრული, მისი ერთი კლიენტის ან/და ერთი რეგისტრირებული მესაკუთრის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების აღსარიცხავად.

1.42. **ონლაინ ბანკი - საბანკო პროდუქტი**, რომლით სარგებლობის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 8**-ით.

1.43. **ონლაინ ბანკის ვებ-გვერდი - ბანკის** სარგებლობაში არსებული შემდეგი ვებ-გვერდი: **www.mycredo.ge**.

1.44. **ოპერაცია - ბანკის** მიერ **საბანკო პროდუქტის** ფარგლებში **დავალების** საფუძველზე ან/და უშუალოდ **ბანკის** ინიციატივით განხორციელებული ნებისმიერი სახის ქმედება.

1.45. **პოს-ტერმინალითა და MyCredo Terminal აპლიკაციით მომსახურება - საბანკო პროდუქტი**, რომლით სარგებლობის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 15**-ით.

1.46. **რჩეული მომსახურება - საბანკო პროდუქტი**, რომლით სარგებლობის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 10**-ით.

1.47. **საბავშვო დეპოზიტი -** არასრულწლოვანი **კლიენტის** სახელზე, მისი წარმომადგენლის მიერ გახსნილ **სადეპოზიტო ანგარიშზე** წინასწარ განსაზღვრული ვადით **დეპოზიტის თანხის** განთავსება, (რომლის მოცულობის ზრდაც დასაშვებია საბავშვო დეპოზიტის მოქმედების მთელი ვადის მანძილზე), რომელსაც **ბანკი** არიცხავს **საპროცენტო განაკვეთს** და რომლის გატანა შესაძლებელია მხოლოდ **მხარეთა** შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, საბავშვო დეპოზიტის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების დანართ 12**-ით.

1.48. **საბანკო დღე** - დღის (შაბათის, კვირის ან **კანონმდებლობით** განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა, თუ გამონაკლის შემთხვევაში **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს) ის მონაკვეთი, როდესაც **ბანკის** სერვის-ცენტრების უდიდესი ნაწილი ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულ საქმიანობას.

1.49. **საბანკო პროდუქტი - ხელშეკრულების** საფუძველზე, **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** შეთავაზებული ნებისმიერი სახის მომსახურება.

1.50. **საგადახდო დავალება** - **დავალება**, რომლითაც მოთხოვნილია: ა) **ანგარიშზე** არსებული თანხის გადარიცხვა, გატანა; ან ბ) **ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა, შეტანა; ან გ) თანხის გადახდა **ანგარიშის** გავლის გარეშე.

1.51. **სადეპოზიტო ანგარიში** - **ბანკში** არსებული **კლიენტის** სადეპოზიტო ანგარიში, რომელზეც აღირიცხება **დეპოზიტის თანხა**.

1.52. **საკომისიო** - **სტანდარტული პირობების დანართ 1**-ით განსაზღვრული, **კლიენტის** მიერ **საბანკო პროდუქტით** სარგებლობის სანაცვლოდ, **ბანკისათვის** გადასახდელი თანხა.

1.53. **საპროცენტო განაკვეთი** - **ბანკის** მიერ **დეპოზიტის თანხაზე** დარიცხული საპროცენტო განაკვეთი.

1.54. **სტანდარტული პირობები** - წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული, **საბანკო პროდუქტით** მომსახურების სტანდარტული პირობები.

1.55. **ფორს-მაჟორი** – სტიქიური კატასტროფა, ხანძარი, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლა, პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანება, საომარი მოქმედება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და **ბანკისათვის** გადაულახავი და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები, რომლებიც: ა) არ არის დაკავშირებული **ბანკის** შეცდომებსა და დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა **ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე.

1.56. **ფულადი გზავნილი** - **გადახდის ოპერაცია**, რა დროსაც აღნიშნული თანხის გადაცემა ხორციელდება როგორც უშუალოდ **მიმღებისთვის**, ისე მიმღების პროვაიდერისათვის, **ანგარიშის** გაუვლელად. ამასთან, ფულადი გზავნილით მომსახურების ფარგლებში, **კლიენტი** შესაძლებელია თავად წარმოადგენდეს თანხის მიმღებს, ხოლო გადამხდელს **მესამე პირი**.

1.57. **ჩარჯბექი** - VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის წესების შესაბამისად, საბანკო ბარათის ემიტენტის ან მფლობელის მიერ ტრანზაქციის გასაჩივრების და ექვაიერისგან (ტრანზაქციის შემსრულებელი პირისგან) ტრანზაქციის თანხის ან მისი ნაწილის უკან დაბრუნების მოთხოვნის პროცედურა.

1.58. **ჩარჯბექის დოკუმენტი** - VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის წესებით დადგენილი **ჩარჯბექის** პროცესისათვის დამხმარე საბუთი ან ინფორმაცია (სავაჭრო ქვითარი, **კლიენტის** მონაცემები, ტრანზაქციის დამატებითი აღწერა, ინვოისი/ანგარიში და ტრანზაქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი).

1.59. **ძირითადი მომხმარებელი** - კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი ან/და წარმომადგენლობით აღჭურვილი პირ(ებ)ი/მინდობილი პირ(ებ)ი, რომელსაც გააქტიურებული აქვს იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკი **www.business.mycredo.ge**.

1.60. **ხელშეკრულება** - **განაცხადი** და **სტანდარტული პირობები** და მისი დანართები (მათ შორის მომავალში განხორციელებული ცვლილებების/დამატებების ჩათვლით) ერთობლივად.

1.61. **PIN კოდი - ბარათის** ან/და **ბიზნეს ბარათის** თანმხლები პერსონალური, კონფიდენციალური კოდი, რომელიც **ბარათთან** ან/და **ბიზნეს ბარათთან** ერთად წარმოადგენს **კლიენტის** ან/და **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირის** ელექტრონულ იდენტიფიკატორს.

1.62. **SMS შეტყობინებები - საბანკო პროდუქტი**, რომლით სარგებლობის დეტალური პირობები განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების** დანართ N9-ით.

## 2. საბანკო პროდუქტით სარგებლობის ზოგადი პირობები

2.1. **ხელშეკრულების** საფუძველზე, **ბანკი** გაუწევს **კლიენტს** შეთანხმებული **საბანკო პროდუქტით** მომსახურებას, ხოლო **კლიენტი** იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ბანკს **საკომისიო**.

2.2. **საბანკო პროდუქტით** სარგებლობის/შეჩერების/შეწყვეტის/შეცვლის/ მიზნით **კლიენტმა ბანკს** უნდა მიმართოს **განაცხადით**. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტის** მიერ **განაცხადით** მიმართვა **ბანკისადმი** არ წარმოშობს **ბანკის** უპირობო ვალდებულებას, რომ ავტომატურად დააკმაყოფილოს **განაცხადით** განსაზღვრული მოთხოვნა. **განაცხადით** განსაზღვრული მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის ან/და შესაბამისი ქმედების განხორციელების მომენტიდან, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

2.3. **ბანკის** საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის ვებ-გვერდის მისამართია - www.nbg.gov.ge.

2.4. საქართველოს ეროვნული ბანკი არ არის პასუხისმგებელი **ბანკის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

2.5. **საბანკო პროდუქტით** მომსახურების ის პირობები, რაც არ არის განსაზღვრული **ხელშეკრულებით**, რეგულირდება **კანონმდებლობითა** და **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

2.6. **კლიენტის** მიერ **განაცხადის** ან/და **დავალების** დისტანციური (ელექტრონული) გზით დადასტურებას (თუ აღნიშნული პროცედურა დაშვებულია **ბანკის** მიერ) ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა.

2.7. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ურთიერთობის ფარგლებში, **კლიენტი** სარგებლობს **დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით, კლიენტი** სრულად აგებს პასუხს აღნიშნული **დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით** განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე (მათ შორის ნებისმიერი სახის **განაცხადის** ან/და **დავალების** ინიცირებაზე, მიუხედავად იმისა აღნიშნული **განაცხადის** ან/და **დავალების** ინიციატორი არის უშუალოდ **კლიენტი** თუ ნებისმიერი **მესამე პირი**).

2.8. **კლიენტი** ვალდებულია უსაფრთხოდ შეინახოს **დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით** სარგებლობისათვის აუცილებელი სახელი (username) და პაროლი (password) და არ დაუშვას მათზე **მესამე პირის** წვდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** სრულად თავისუფლდება **კლიენტისათვის** მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურებისაგან.

2.9. იმ შემთხვევაში, **თუ დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით** სარგებლობისათვის აუცილებელი სახელი (username) და პაროლი (password) ხელმისაწვდომი გახდა **მესამე პირისათვის** ან/და **კლიენტს** აქვს გონივრული ეჭვი აღნიშნულის შესახებ, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ **ბანკს**.

## 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე:

3.1.1. ნებისმიერ დროს, სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს/შეაჩეროს **საბანკო პროდუქტით** მომსახურება ან/და შეცვალოს მისი პირობები.

3.1.2. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული უფლება-მოვალეობები, სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს **მესამე პირს**.

3.1.3. კლიენტის ანგარიშიდან (გარდა **ერთობლივი მიმდინარე ანგარიშისა**, **ერთობლივი სადეპოზიტო ანგარიშისა** და **ნომინალური მფლობელობის ანგარიშისა**) ჩამოჭრას ნებისმიერი თანხა, **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული ნებისმიერი დავალიანების (როგორც უშუალოდ **ხელშეკრულებიდან**, ისე **მხარეთა** შორის არსებული ნებისმიერი სხვა გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად. ამასთან, თუ **ანგარიშზე**, (გარდა **ერთობლივი მიმდინარე ანგარიშისა**, **ერთობლივი სადეპოზიტო ანგარიშისა** და **ნომინალური მფლობელობის ანგარიშისა**) არსებული თანხა და **კლიენტის** მიმართ არსებული **ბანკის** მოთხოვნა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კონვერტაცია ბანკის** მიერ დადგენილი კომერციული კურსით (ხოლო 2022 წლის 04 ოქტომბრიდან გამოიყენება სპეციალური კომერციული კურსი, რომელიც მოცემულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://credobank.ge/exchange-rates/?rate=credo_card), **კონვერტირებული** თანხა კი მიმართოს **კლიენტის** ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად.

3.1.4. თუ **კლიენტს** გააჩნია რაიმე სახის ვალდებულება (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოუსვლელი) **ბანკის** წინაშე, არ შეასრულოს **კლიენტის** წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და განახორციელოს აღნიშნული ვალდებულებების გაქვითვა, მიუხედავად იმისა, თუ ერთ-ერთი მოთხოვნის ვადა არ იქნება დამდგარი გაქვითვის მომენტისთვის, რის თაობაზეც **ბანკი** აცნობებს **კლიენტს**.

3.1.5. **კანონმდებლობითა** და **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად, მოსთხოვოს **კლიენტს** მის შესახებ ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა ან/და არსებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის განახლება და აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღებამდე გააუქმოს ან/და დროებით შეაჩეროს **ოპერაციის** განხორციელება.

3.2. **კლიენტი** ვალდებულია:

3.2.1. არ მისცეს **ბანკს** ისეთი სახის დავალება ან/და არ განახორციელოს რაიმე ქმედება, რასაც შედეგად მოჰყვება **ანგარიშზე** არსებული ხელმისაწვდომ თანხაზე მეტის გახარჯვა. ამასთან, ნებისმიერი მიზეზით, აღნიშნული გარემოების დადგომის შემთხვევაში, **კლიენტი**

ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს ყოველდღიური საპროცენტო განაკვეთი, ზედმეტად გახარჯული თანხის 0.5%-ის ოდენობით.

3.2.2. **განაცხადით** დაფიქსირებული ან/და ნებისმიერი სხვა გზით **ბანკისათვის** მიწოდებული ინფორმაციის (მათ შორის **კლიენტის** პერსონალური მონაცემების, საკონტაქტო/საკომუნიკაციო არხების/რეკვიზიტების) ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს**, წინააღმდეგ შემთხვევაში, **ბანკი** იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული მონაცემებით, რაზეც სრული პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ეკისრება **კლიენტს**.

3.2.3. წინასწარ გაეცნოს გამონაკლისების ნუსხაში (ინფორმაცია, აღნიშნული ნუსხის შესახებ ხელმისაწვდომია **ბანკის** ნებისმიერ სერვის-ცენტრში და **ვებ-გვერდზე**) შეტანილ საქმიანობათა ჩამონათვალს. ამასთან, **კლიენტი** ადასტურებს, რომ ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის მანძილზე არ დაკავდება გამონაკლისების ნუსხაში მითითებული საქმიანობით.

3.2.4. სრულად და ჯეროვნად დაიცავს **კანონმდებლობა**, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს**.

3.2.5. შეასრულოს **ბანკის** ყველა მითითება, რაც აუცილებელია უცხოური ანგარიშების საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აშშ-ს საგადახადო კანონმდებლობით და აშშ-სა და საქართველოს შორის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით (IGA) გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3.2.6. თუ იგი არის აშშ-ს მოქალაქე ან/და აშშ-ს გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი, წარუდგინოს **ბანკს** აშშ-ს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნისა და დადასტურების ფორმა, რომელიც შემუშავებულია აშშ-ს შემოსავლების სამსახურის მიერ (ფორმა განთავსებულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://www.irs.gov/pub/irs-pdf/fw9.pdf) ან მისი შემცვლელი ფორმა (ფორმა W-9), რომელსაც **ბანკი** გადასცემს **კლიენტს**.

3.2.7. თუ იგი არ არის აშშ-ს მოქალაქე ან/და აშშ-ს გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი, თუმცა დაბადებულია აშშ-ში, წარუდგინოს **ბანკს** აშშ-ს საგადასახადო დაბეგვრისა და რეპორტინგის მიზნებისთვის ფიზიკური პირის უცხოური სტატუსის დადასტურების ფორმა, რომელიც შემუშავებულია აშშ-ს შემოსავლების სამსახურის მიერ (ფორმა განთავსებულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://www.irs.gov/pub/irs-pdf/fw8ben.pdf) შესაბამის ახსნა განმარტებასთან (აშშ-ს მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ, ან რატომ არ იქნა მოპოვებული აშშ-ს მოქალაქეობა) ან აშშ-ს მოქალაქეობის დაკარგვის დოკუმენტთან ერთად, ან მისი შემცვლელი ფორმა (ფორმა W-8BEN), რომელსაც **ბანკი** გადასცემს **კლიენტს**.

3.2.8. თუ იგი არ არის აშშ-ს მოქალაქე ან/და აშშ-ს გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი, თუმცა ფლობს რეგისტრაციის/ფაქტობრივ მისამართს აშშ-ში ან/და ტელეფონის ნომერს, რომელიც აღრიცხულია/რეგისტრირებულია აშშ-ში ან/და **ანგარიშის** გახსნაზე უფლებამოსილ წარმომადგენელს გააჩნია რეგისტრაციის/ფაქტობრივი მისამართი აშშ-ში ან/და **კლიენტი** მისცემს **ბანკს საგადახდო დავალებას** აშშ-ში არსებულ საბანკო ანგარიშებზე გადარიცხვის განსახორციელებლად, წარუდგინოს **ბანკს** აშშ-ს საგადასახადო დაბეგვრისა და რეპორტინგის მიზნებისთვის ფიზიკური პირის უცხოური სტატუსის დადასტურების ფორმა, რომელიც შემუშავებულია აშშ-ს შემოსავლების სამსახურის მიერ (ფორმა განთავსებულია შემდეგ

ელექტრონულ მისამართზე: http://www.irs.gov/pub/irs-pdf/fw8ben.pdf) ან მისი შემცვლელი ფორმა (ფორმა W-8BEN), რომელსაც **ბანკი** გადასცემს **კლიენტს**. იმ შემთხვევაში თუ ფორმა W-9 ან ფორმა W-8BEN არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი **განაცხადის** ხელმოწერიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში, **ბანკი** არ იღებს პასუხიმგებლობას აღნიშნული ფორმის წარმოუდგენლობის გამო აშშ-ს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კლიენტისათვის დაკისრებულ დამატებითი ვალდებულებებზე.

3.2.9. ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ცვლილება მის მიერ **ბანკისათვის** მიწოდებულ ზემოაღნიშნული ფორმებში ასახულ ინფორმაციაში, აცნობოს **ბანკს** 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2.10. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი ბანკთან** ურთიერთობას ახორციელებს მისი წარმომადგენლის მეშვეობით და **კლიენტი** გადაწყვეტს, რომ გაუუქმოს ან/და შეუჩეროს მის წარმომადგენელს უფლებამოსილება, კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ მიმართოს **ბანკს** და **ბანკი კლიენტის** მოთხოვნის შესაბამისად გააუქმებს ან/და შეაჩერებს აღნიშნულ მინდობილობას. ამასთან, თუ მინდობილობა დამოწმებულია სანოტარო ფორმით, **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში მიმართოს შესაბამის ორგანოს (ნოტარიუსს) და მოითხოვოს შესაბამისი მინდობილობის გაუქმება.

3.3. **მხარეები** თანხმდებიან, რომ:

3.3.1. თუ **ხელშეკრულების** ფარგლებში **ბანკის** მიერ რაიმე სახის **საბანკო პროდუქტით** მომსახურება საჭიროებს **მესამე პირის** (მაგ: მობილური ოპერატორის, ინტერნეტ პროვაიდერის, კომუნალური მომსახურების მომწოდებლის და სხვა) ჩართვას, აღნიშნული **მესამე პირის** ქმედებებზე და მომსახურების ხარისხზე **ბანკი** თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან.

3.3.2. თუ **კლიენტს** გააჩნია რამდენიმე სახის ვადამოსული დავალიანება ბანკის წინაშე, როგორც უშუალოდ **ხელშეკრულებიდან**, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან (მათ შორის საკრედიტო ხელშეკრულებიდან) გამომდინარე, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების რიგითობას ცალმხრივად განსაზღვრავს **ბანკი**.

3.3.3. თუ **კლიენტს ბანკის** წინაშე გააჩნია ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება, მათი დაფარვის რიგითობის არჩევა შესაძლებელი იქნება **ბანკის** სერვის-ცენტრში, **საბანკო დღის** 16:00 საათამდე.

## 4. ანგარიშის, დავალების მიღების, ოპერაციის განხორციელებისა და სხვა საბანკო მომსახურებით სარგებლობის ზოგადის წესები

*ანგარიში*

4.1. **სტანდარტულ პირობებზე** დათანხმების **განაცხადით** ავტომატურად ხდება **მიმდინარე ანგარიშის** გახსნის მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, **კლიენტს** გაეხსნება ერთვალუტიანი ან/და მულტისავალუტო **მიმდინარე ანგარიში** (**განაცხადით** მოთხოვნილი პირობების შესაბამისად).

4.2. **მიმდინარე ანგარიშის** მეშვეობით **კლიენტს** შეუძლია აღრიცხოს და განკარგოს საკუთარი ფულადი სახსრები.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ **ანგარიშზე** თანხა მოხვდება შეცდომით, **კლიენტი** ვალდებულია არ განახორციელოს მისი სრულად ან ნაწილობრივ გახარჯვა და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ **ბანკს**. თუ მოხდება **ანგარიშზე** შეცდომით ჩარიცხული თანხის გახარჯვა, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს **კლიენტს** პირგასამტეხლოს გადახდა, გახარჯული თანხის 0.5%-ის ოდენობით, გახარჯული თანხით სარგებლობის ყოველ დღეზე, მის სრულად დაბრუნებამდე.

4.4. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** ვალდებულია გასცეს **ამონაწერი**.

4.5. **ბანკი** უფლებამოსილია:

4.5.1. **ანგარიშზე** თანხის შეცდომით ჩარიცხვის შემთხვევაში, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოწეროს ან/და დაბლოკოს აღნიშნული თანხა ან/და თავად **ანგარიში**.

4.5.2. ნებისმიერ დროს, სრულად ან ნაწილობრივ დაბლოკოს **ანგარიში** (შეაჩეროს ან/და შეზღუდოს **ანგარიშზე** ოპერაციის შესრულება), თუ **კლიენტი** დაარღვევს **ბანკის** წინაშე ნაკისრ, როგორც უშუალოდ **ხელშეკრულებიდან**, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებას, **კანონმდებლობას, მესამე პირთან** არსებული გარიგების პირობებს ან/და **ბანკს** გაუჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, აღნიშნული გარემოებებიდან ერთის ან რამდენიმეს არსებობის შესახებ.

4.5.3. დახუროს **ანგარიში**, თუ **ანგარიშზე** ბოლო 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში არ განხორციელებულა **ოპერაცია** და ამავდროულად **ანგარიშზე** არ არის **ანგარიშის** მომსახურების ან/და დახურვისთვის დაწესებული **საკომისიოს** დასაფარი თანხა.

4.5.4. **მიმდინარე ანგარიშზე** არსებული თანხა გამოიყენოს საკრედიტო რესურსის სახით, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული თანხა გახადოს **კლიენტისათვის** დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი.

4.6. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ერთობლივი მიმდინარე ანგარიშის** განკარგვა მოხდება მისი მფლობელი ყველა **კლიენტის** მიერ ერთობლივად, თუ **მხარეები** (მათ შორის **ბანკიც**) დამატებით სხვა პირობაზე არ შეთანხმდებიან.

*<u>დავალების მიღება და ოპერაციის განხორციელება</u>*

4.7. **ბანკისათვის დავალების** მიწოდება შესაძლებელია მოხდეს როგორც უშუალოდ **კლიენტის**, ისე **მიმღების** მიერ, ხოლო **დავალება ბანკის** მიერ მიღებულად ითვლება, **ბანკის** პროგრამულ სისტემაში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

4.8. **დავალება ბანკს** შესაძლოა მიეწოდოს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით, **კანონმდებლობითა** და **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

4.9. **ბანკის** მიერ **საგადახდო დავალების** შესრულება მოხდება 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში, თუ **კანონმდებლობით** ან/და **ბანკში** დადგენილი პროცედურებით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული. ასევე, **ბანკი** იტოვებს უფლებას, **კლიენტისათვის** ყოველგვარი წინასწარი ახსნა-განმარტების მიცემის ან/და თანხმობის გარეშე, გააუქმოს ან/და შეაჩეროს **საგადახდო**

**დავალების** შესრულება, თუ აღნიშნული **საგადახდო დავალება** არ შეიცავს **კანონმდებლობით** ან/და **ბანკის** პროცედურებით დადგენილ რეკვიზიტებს, ასევე თუ **ბანკი** მიზანშეწონილად ჩათვლის **საგადახდო დავალების** გაუქმებას ან/და შეჩერებას, მისი საეჭვო ხასიათიდან გამომდინარე.

***ფულადი გზავნილი***

4.10. **კლიენტს**, **ბანკის** სერვის-ცენტრებში და სხვადასხვა დისტანიცურ არხებში (მათ შორის **ბანკის** სატელეფონო ცენტრის მეშვეობითაც) შეუძლია ისარგებლოს ფულადი გზავნილის მომსახურებით, **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

***დეპოზიტების დაზღვევა***

4.11. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და **დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს** მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. **ბანკში** ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ **დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს** ვებგვერდზე: www.diagency.ge“.

4.12. ანგარიშზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და **დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს** მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 15,000 (თხუთმეტი ათასი) ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 15,000 (თხუთმეტი ათასი) ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესით.

4.13. **ბანკში კლიენტის** ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე.

4.14. სადაზღვევო თანხის ანაზღაურება მოხდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში **ბანკს** გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები. ანაზღაურება მოხდება ლარში.

***mycredo.ge***

4.15. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, **ბანკის** მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად დარეგისტრირდეს **ვებ-გვერდზე** (www.mycredo.ge) და მიიღოს ინფორმაცია საკუთარი **საბანკო პროდუქტების** შესახებ.

4.16. **ვებ-გვერდის** მეშვეობით **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს მიმართოს **ბანკს განაცხადით** და მოითხოვოს სხვადასხვა **საბანკო პროდუქტებითა** და საბანკო კრედიტებით, დეპოზიტებით და მისთვის ხელმისაწვდომი სხვა მომსახურებით სარგებლობა.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ:

5.1.1. **ხელშეკრულებისა** და **საბანკო პროდუქტით** მომსახურების ფარგლებში, **ბანკი** თავისუფლდება **კლიენტის** წინაშე ყოველგვარი ზიანის (ზარალის) ანაზღაურებისაგან, თუ აღნიშნული ზიანი (ზარალი) არ არის გამოწვეული **ბანკის** ბრალეული ქმედებით.

5.1.2. **კლიენტის** მიერ **საკომისიოს** გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **კლიენტს** პირგასამტეხლოს გადახდა, გადასახდელი **საკომისიოს** თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, **ბანკის** აღნიშნული მოთხოვნა შესაძლებელია გამოიხატოს, როგორც **კლიენტისათვის** შეტყობინების გაგზავნით, ისე **ანგარიშიდან** (გარდა **ნომინალური მფლობელობის ანგარიშისა**) შესაბამისი პირგასამტეხლოს თანხის ჩამოჭრით, **კლიენტისათვის** წინასწარი ან/და დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1. არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია **ფორს-მაჟორული** გარემოებით.

6.2. თუ **კლიენტს** დაუდგება **ფორს-მაჟორული** გარემოება, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ (მაგრამ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში) წერილობით შეატყობინოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, **კლიენტი** კარგავს უფლებას დაეყრდნოს **ფორს-მაჟორულ** გარემოებას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

## 7. ანგარიშსწორება

7.1. **ხელშეკრულების** საფუძველზე, **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება განხორციელება ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით, თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

7.2. თუ ფინანსური ვალდებულების შესრულების დღე არ ემთხვევა **საბანკო დღეს**, მისი შესრულება უნდა მოხდეს მომდევნო **საბანკო დღეს**.

## 8. კომუნიკაცია

8.1. თუ **კანონმდებლობით** ან/და კონკრეტული **საბანკო პროდუქტით** სხვა წესი არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ფარგლებში ნებისმიერ შეტყობინებას **ბანკი კლიენტს** მიაწვდის ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ან რამდენიმე გზით: **ვებ-გვერდზე** ან/და **ბანკის** სერვის-ცენტრებში ინფორმაციის განთავსებით, **განაცხადში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ელექტრონულ ფოსტაზე, ტელეფონის ნომერზე, მისამართზე ან/და სხვა საკონტაქტო

რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნით, ასევე, **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** გაფორმების შემდეგ დაფიქსირებულ სხვა საკონტაქტო რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნით.

8.2. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** შეტყობინების გაგზავნა მოხდება შესაბამისი **საბანკო პროდუქტით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ხოლო თუ **საბანკო პროდუქტით** არ არის განსაზღვრული კომუნიკაციის კონკრეტული პირობა, **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** შეტყობინების მიწოდება მოხდება წერილობით, **ბანკის** სერვის-ცენტში ან/და იურიდიულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით.

8.3. **ბანკის** მიერ, მის ხელთ არსებულ **კლიენტის** საკონტაქტო რეკვიზიტებზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება სრულად და ჯეროვნად გაგზავნილად და **კლიენტისთვის** ჩაბარებულად, მიუხედავად იმისა **კლიენტს** ფაქტობრივად ჩაბარდება თუ არა შეტყობინება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყო, როგორც უშუალოდ **კლიენტის** ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეტყობინების განზრახ ჩაუბარებლობით, ისე **კლიენტი** მიერ საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის საცხოვრებელი მისამართის) ცვლილებით.

8.4. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს ავტომოპასუხის გამოყენებით.

## 9. კონფიდენციალურობა და კლიენტის პერონალური მონაცემების დამუშავება

9.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი **მესამე პირისათვის** სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა დაუშვებელია მეორე **მხარის** წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ინფორმაციას:

9.1.1. თუ უშუალოდ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მისი გადაცემა შესაძლებელია **მესამე პირისთვის**.

9.1.2. თუ ის ცნობილი იყო **მხარისათვის ხელშეკრულების** გაფორმებამდე, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.1.3. რომლის **მესამე პირისათვის** გადაცემაც სავალდებულოა **კანონმდებლობით**.

9.2. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე:

9.2.1. სს „კრედიტინფო საქართველოს" ან/და ნებისმიერ, მსგავსი ფუნქციის მქონე პირს მისცეს თანხმობა, რომ მათ **ბანკის** მიერ მიწოდებული, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები მრავალჯერადად გადასცენ ისეთ **მესამე პირს**, რომელიც შესაბამისი გარიგების საფუძველზე თავადაც აწვდის სს „კრედიტინფო საქართველოს" ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირს აღნიშნულ ინფორმაციას.

9.2.2. სს „კრედიტინფო საქართველოსგან" ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირისგან მრავალჯერადად მოიძიოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** აქვს აქტიური საკრედიტო ვალდებულება **ბანკის** წინაშე, **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის შემოწმების მიზნით.

9.2.3. **კლიენტისათვის საბანკო პროდუქტის** ან/და ნებისმიერი სხვა სახის საბანკო მომსახურების (მათ შორის საკრედიტო, სადეპოზიტო და სხვა) შეთავაზების/გაწევის მიზნით, მრავალჯერადად გადაამოწმოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში, **კანონდემბლობით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

9.2.4. **კლიენტის** შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს **მესამე პირს**, თუ აღნიშნული გადაცემა აუცილებელია **ბანკის** უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, **კლიენტის** მიმართ არსებული რაიმე სახის მოთხოვნის **მესამე პირისათვის** დასათმობად (მათ შორის აღნიშნულ **მესამე პირთან** მოლაპარაკების პროცესში), **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ან/და **კლიენტისათვის** რაიმე სახის მომსახურების/პროდუქტის შეთავაზების ან/და რაიმე სახის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

## 10. პრეტენზიები და დავები

10.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სახის პრეტენზია **მხარეებმა** ერთმანეთს უნდა წაუყენონ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული საკომუნიკაციო ერთი ან რამდენიმე არხით. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია მისი მიღებიდან ან/და პრეტენზიის ავტორის იდენტიფიკაციიდან 1 (ერთი) თვის ვადაში სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს აღნიშნული პრეტენზია ან განაცხადოს მოტივირებული უარი მის დაკმაყოფილებაზე.

10.2. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ბანკის** სერვის-ცენტრებში შესრულებულ **ოპერაციაზე ბანკისათვის** პრეტენზიის წარდგენის ვადა შეადგენს 1 (ერთი) თვეს **ოპერაციის** შესრულებიდან. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, **კლიენტის** მხრიდან დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვა **ბანკის** მიერ აღარ მოხდება.

10.3. **კლიენტის** მიერ პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია როგორც **ბანკის** სერვის-ცენტრებში, ისე **ვებ-გვერდის**, **ბანკის** ოფიციალური „ფეისბუქის" გვერდის აბ/და **ბანკის** სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით.

10.4. **ბანკის** მიერ პრეტენზიის გახილვა მოხდება **კანონმდებლობისა** და **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **კლიენტისათვის** პასუხის დაბრუნება მოხდება პრეტენზიის მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

10.5. **ხელშეკრულების** ფარგლებში წამოჭრილი ნებისმიერი დავა, პირველ ეტაპზე წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ან/და თუ რომელიმე **მხარე** ჩათვლის, რომ მოლაპარაკების დაწყება იქნება უშედეგო, თითოეული **მხარე** უფლებამოსილია მოლაპარაკების გარეშეც, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, **კანონმდებლობით** განსაზღვრული წესის შესაბამისად.

10.6. **მხარეები** თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

## 11. ხელშეკრულების პირობების ცვლილება

11.1. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები (მათ შორის ნებისმიერი **საბანკო პროდუქტის** პირობები და **საკომისიოს** ოდენობა), **ვებ-გვერდზე**, სერვის-ცენტრებში (ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით), შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით, თუ უშუალოდ **საბანკო პროდუქტით** ან/და **კანონმდებლობით კლიენტის** ინფორმირების სხვა წესი არ არის დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილება: ა) არ აუარესებს **კლიენტის** მდგომარეობას, **ბანკი** თავისუფლდება წინასწარი შეტყობინების ვალდებულებისაგან, რა დროსაც, აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების ან/და **კლიენტისათვის** შეტყობინების მიწოდების მომდევნო **საბანკო დღეს**, თუ **ბანკის** მიერ სხვა პირობა (ან ვადა) არ იქნება განსაზღვრული; ბ) აუარესებს **კლიენტის** მდგომარეობას, **ბანკი** ვალდებულია აღნიშნული ცვლილების თაობაზე, წინასწარ, არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე აცნობოს **კლიენტს** პირადად, ელექტრონული ფოსტის, სმს-ის, კურიერის ან/და კონკრეტული **საბანკო პროდუქტით** განსაზღვრული საკომუნიკაციო არხით. ამასთან, თუ **კლიენტი** არ ეთანხმება გაუარესებულ პირობებს, იგი უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში აცნობოს **ბანკს** ამის შესახებ და შეწყვიტოს შესაბამისი **საბანკო პროდუქტით** მომსახურება, წინააღმდეგ შემთხვევაში, **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ცვლილება ჩაითვლება დადასტურებულად **კლიენტის** მიერ.

11.2. **ბანკი** არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს **კლიენტს ხელშეკრულების** პირობების ისეთი ცვლილების შესახებ, რაც: ა) ფინანსურად არ აუარესებს **კლიენტის** მდგომარეობას; ბ) დაკავშირებულია **საბანკო პროდუქტით** სარგებლობის ფარგლებში **ბანკის** მიერ დადგენილი ტექნიკური პროცედურის ცვლილებასთან; გ) დაკავშირებულია ახალი **საბანკო პროდუქტის** დანერგვასთან ან/და არსებული **საბანკო პროდუქტის** პირობების ცვლილებასთან (გარდა **საკომისიოს** გაზრდის შემთხვევისა).

## 12. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

12.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **კლიენტის** მიერ **სტანდარტული პირობების** დათანხმების **განაცხადის** ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

12.2. ცალკეულ **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული პირობები ძალაში შედის **კლიენტის** მიერ შესაბამისი **საბანკო პროდუქტის განაცხადის** ხელმოწერისა და **ბანკის** მიერ მისი დადასტურების (მათ შორის, როგორც შეტყობინების გაგზავნით, ისე შესაბამისი ქმედებით) მომენტიდან და ძალაშია **მხარეთა** მიერ აღნიშნული **საბანკო პროდუქტით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

## 13. ზოგადი პირობები

13.1. **სტანდარტულ პირობებსა** და **საბანკო პროდუქტის** დანართებით განსაზღვრულ პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება **საბანკო პროდუქტის** დანართებით განსაზღვრულ პირობებს.

13.2. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებები **კლიენტმა** უნდა შეასრულოს პირადად. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილია **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს **მესამე პირს**, **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა არ გამორიცხავს **ბანკის** უფლებამოსილებას, რომ ნებისმიერი შესრულება (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოუსვლელი მოთხოვნის) მიიღოს **მესამე პირისგან**.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** რაიმე პირობა, **კანონმდებლობის** შესაბამისად, ვერ გავრცელდება **კლიენტზე** მისი სტატუსიდან გამომდინარე, აღნიშნული არ გამოიწვევს **ხელშეკრულების** სრულად ბათილობას და **კლიენტზე** გავრცელდება მხოლოდ ის პირობები, რომლებიც მისი სტატუსიდან გამომდინარე შესაძლებელია რომ გავრცელდეს მასზე.

13.4. ყველა საკითხი, რაც არ არის დარეგულირებული **ხელშეკრულებით**, რეგულირდება **კანონმდებლობის** შესაბამისად.

# დანართი 2 - ბარათი

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** დაამზადებს და გადასცემს **კლიენტს ბარათს**, რომელიც წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას, **ბარათის** დასახელება, საბარათე სქემა და **ბარათის** ტიპი განისაზღვრება შესაბამისი განაცხადით.

2. **ბარათი** ძალაშია იმ წლის თვის ბოლომდე, რომელიც მითითებულია **ბარათზე**.

3. **ბანკი კლიენტს PIN კოდს** გადასცემს დალუქული კონვერტის ან/და **განაცხადით** განსაზღვრული სხვა ფორმით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ლოკალური არაპერსონიფიცირებული **ბარათით** სარგებლობა შესაძლებელია საქართველოს ფარგლებში, კერძოდ **ბანკისა** და **ბანკის** კონტრაქტორ ობიექტებში (პოს-ტერმინალებში, ბანკომატებში), შესაბამისი **ოპერაციის** განხორციელების მიზნით, ხოლო პესონიფიცირებული და საერთაშორისო არაპერსონიფიცირებული **ბარათით** სარგებლობა შესაძლებელია როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ და ასევე ინტერნეტ-ობიექტებში. **კლიენტის ანგარიშზე**, **ბარათით შესრულებული ოპერაციის** ასახვის მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს. ამასთან, თუ **ოპერაციის** ფარგლებში მიმღების პროვაიდერისთვის თანხის გადახდა ხდება უცხოურ ვალუტაში და **ბარათთან** დაკავშირებულ **ანგარიშზე კლიენტს** არ აქვს შესაბამისი ვალუტა, თანხის **კონვერტაცია** მოხდება აშშ დოლარში, **ბანკის** სისტემაში არსებული კონვერტაციის კურსით.

5. არაპერსონიფიცირებული და პერსონიფიცირებული **ბარათებით ოპერაციების ლიმიტები** და **საკომისიოები** განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების** დანართი 1-ით;

6. **ბარათის** ვალუტა განისაზღვრება შესაბამისი **განაცხადით**.

7. უკონტაქტო **ბარათის** შემთხვევაში, **ოპერაციის** განხორციელება შესაძლებელია **PIN კოდის** გამოყენების გარეშე, **სტანდარტული პირობების** დანართ N1-ით განსაზღვრული **ლიმიტის** ფარგლებში.

8. **PIN კოდის** სამჯერ ზედიზედ არასწორად დაფიქსირების შემთხვევაში **ბარათი** დაიბლოკება. დაბლოკილ **ბარათთან** დაკავშირებით **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკის** სერვისცენტრს ან სატელეფონო ცენტრს (032 2424242).

9. მას შემდეგ, რაც **კლიენტი**, **ბარათის** გამოყენებით, მისცემს **ბანკს** დავალებას **ოპერაციის** შესრულების შესახებ, მას არ აქვს უფლება მოსთხოვოს **ბანკს** მოთხოვნილი **ოპერაციის** შეჩერება. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაჩეროს/გააუქმოს **ოპერაცია**, **კანონმდებლობით** ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. **ბარათით** შესრულებული **ოპერაციის** გასაჩივრების ვადა შედგენს 120 (ასოცი) კალენდარულ დღეს **კლიენტის** მიერ **ოპერაციის** ინიცირების მომენტიდან, ხოლო **ბანკის** მიერ საჩივრის განხილვის ვადა - 20 (ოცი) კალენდარულ დღეს. ამასთან, განსაკუთრებული და ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, აღნიშული 20 (ოცი) დღიანი ვადა შესაძლოა გაიზარდოს 55 (ორმოცდათხუთმეტი) კალენდარულ დღემდე.

10. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტმა** დაკარგა **ბარათი** ან/და **კლიენტს** ეჭვი აქვს, რომ **მესამე პირისთვის** ცნობილი გახდა **PIN კოდი**, **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს

**ბანკს**, ხოლო არასამუშაო საათებში მიმართოს გაერთიანებულ საფინანსო კორპორაციას (საკონტაქტო ნომერი: 2 777 222), რის შემდეგაც **ბანკი** ან და გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია უზრუნველყოფს **ბარათის** დაბლოკვას. **ბარათის** განბლოკვა განხორციელდება მხოლოდ **კლიენტის განცხადების** საფუძველზე.

11. **კლიენტის** მოთხოვნის საფუძველზე, **ბანკი** ვალდებულია შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება და უზრუნველყოს **ბარათის** სტოპ-სიაში შეყვანა.

12. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა იმ **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდება **ბარათის** (მათ შორის **ბარათის** მონაცემების) გამოყენებით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული **ოპერაცია** განხორციელებულია **კლიენტის** თუ **მესამე პირის** მიერ (მათ შორის **კლიენტის** ნების საწინააღმდეგოდ).

13. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან/და გააუქმოს **ბარათის** მოქმედება და ასევე მოითხოვოს **ბარათის** უკან დაბრუნება.

14. **ბარათის** მოქმედების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში, **კლიენტის** მოთხოვნის საფუძველზე, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს **კლიენტს ანგარიშზე** არსებული ხელმისაწვდომი თანხა.

15. **ბანკი** უფლებამოსილია არ შეასრულოს **კლიენტის** მიერ **ბარათის** გამოყენებით **ბანკისათვის** მიცემული **დავალება**, თუ **ბარათთან** დაკავშირებულ **ანგარიშზე** არ არის **დავალებით** მოთხოვნილი **ოპერაციის** შესასრულებლად საკმარისი თანხა.

16. **კლიენტი** ვალდებულია შეინახოს **ბარათის** გამოყენებით შესრულებულ **ოპერაციასთან** დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს ისინი **ბანკს**, მოთხოვნაშივე განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

17. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, მოსთხოვოს **ბანკს ბარათით** შესრულებული **ოპერაციის** შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა, **კანონმდებლობითა** და **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

## თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ჩამონათვალი

| | MCC Code | კატეგორიის განმარტება |
|---|---|---|
| 1 | 4131 | ავტობუსის ხაზები |
| 2 | 4411 | საკრუიზო ხაზები |
| 3 | 4511 | ავიაკომპანიები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული |
| 4 | 4722 | ტურისტული სააგენტოები და ტუროპერატორები სამგზავრო ღონისძიებები, ტურები, ჩარტერები |
| 5 | 4816 | კომპიუტერული ქსელის სერვისები ინტერნეტ სერვისის მომწოდებლები |
| 6 | 4829 | გადარიცხვები და ფულადი გზავნილები |
| 7 | 5122 | ნარკოტიკები, მეწარმეები და სხვადასხვა ნივთები |
| 8 | 5592 | საავტომობილო სახლის დილერები |
| 9 | 5933 | ლომბარდები |
| 10 | 5960 | პირდაპირი მარკეტინგი, დაზღვევა |
| 11 | 5962 | პირდაპირი მარკეტინგი - მოგზაურობა მოიცავს ფასდაკლების კლუბებს |
| 12 | 5963 | გაყიდვები კარდაკარ |
| 13 | 5964 | პირდაპირი მარკეტინგი - კატალოგის საფოსტო და სატელეფონო შეკვეთები |
| 14 | 5965 | პირდაპირი მარკეტინგი, კომბინირებული კატალოგი და საცალო ვაჭარი |
| 15 | 5966 | პირდაპირი მარკეტინგი - OutboundMail და სატელეფონო შეკვეთები |
| 16 | 5967 | პირდაპირი მარკეტინგი - შემომავალი |
| 17 | 5968 | პირდაპირი მარკეტინგი - გამოწერა |
| 18 | 5969 | პირდაპირი მარკეტინგი - სხვა რადიო და სატელევიზიო გაყიდვები |
| 19 | 5972 | მარკების და მონეტების მაღაზიები |
| 20 | 6211 | ფასიანი ქაღალდების დილერები |
| 21 | 7012 | TimesharesRentals, გაქირავების, იჯარისა და გაყიდვების დროში გაზიარება |
| 22 | 7021 | TimesharesRentals, გაქირავება, იჯარა და გაყიდვები |
| 23 | 7273 | ზრდასრულთა გაცნობა და ესკორტი სხვადასხვა გაცნობის სერვისი |
| 24 | 7277 | სესხის, ქორწინების, პირადი საკონსულტაციო მომსახურება |
| 25 | 7361 | დასაქმების სააგენტოები |
| 26 | 7519 | საავტომობილო სახლების გაქირავება |
| 27 | 7841 | ვიდეო ფირის გაქირავების მაღაზიები |
| 28 | 7922 | ბილეთების სააგენტოები, მეორადი ბილეთების განთავსება |
| 29 | 7993 | ვიდეო გასართობი სათამაშო მასალები |
| 30 | 7994 | ვიდეო თამაშები და ArcadesSkill თამაშები მოითხოვს რეგისტრაციას |
| 31 | 7995 | კაზინოები, ონლაინ კაზინოები, ლატარია, ფსონები |
| 32 | 7997 | წევრობის კლუბები, ჯანმრთელობის კლუბები, ქვეყნის კლუბები, სპორტული კლუბები, გოლფის კერძო კურსები, ნაოსნობის კლუბები, საცურაო კლუბები |

| | | |
|---|---|---|
| 33 | 9223 | გირაოს და ობლიგაციების გადახდა |

## დანართი 3 - ვადიანი დეპოზიტი

1. განაცხადის საფუძველზე, **ბანკი** გაუხსნის კლიენტის **სადეპოზიტო ანგარიშს და ვადიან დეპოზიტს.**

2. **ბანკი** ვალდებულია, **განაცხადით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **ვადიანი დეპოზიტის** ვადის გასვლის შემდეგ, **დეპოზიტის თანხა** და მასზე დარიცხული **საპროცენტო განაკვეთი** დააბრუნოს იმავე ვალუტაში, რა ვალუტაშიც მიიღო ის **კლიენტისგან**. ამასთან, თუ **დეპოზიტის თანხა** განთავსებულია რუსულ რუბლში, **ბანკი** უფლებამოსილია **დეპოზიტის თანხის** გაცემა განახორციელოს **ვადიანი დეპოზიტის** ვადის გასვლიდან (ან/და ვადაზე ადრე შეწყვეტიდან) 3 **საბანკო დღის** ვადაში.

3. **ვადიან დეპოზიტზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **სადეპოზიტო ანგარიშზე დეპოზიტის თანხის** განთავსების დღიდან.

4. **ბანკი** უფლებამოსილია არ დაუშვას **კლიენტის** მიერ **დეპოზიტის თანხის** ან მისი ნაწილის გატანა **ვადიანი დეპოზიტის** ვადის ამოწურვამდე, თუ უშუალოდ **განაცხადით** ან **მხარეთა** დამატებითი შეთანხმებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.

5. **სადეპოზიტო ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა/შეტანა ან/და **სადეპოზიტო ანგარიშიდან დეპოზიტის თანხის** გადარიცხვა/გატანა შესაძლებელია მხოლოდ **კლიენტის მიმდინარე ანგარიშის** მეშვეობით. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არასრულწლოვანია, **სადეპოზიტო ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა/შეტანა შესაძლებელია მხოლოდ თანხის შემომტანი პირის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით, ხოლო **სადეპოზიტო ანგარიშიდან დეპოზიტის თანხის** გადარიცხვა/გატანა შესაძლებელია მხოლოდ **ვადიანი დეპოზიტის** განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით.

6. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, **დეპოზიტის თანხა** სრულად ან ნაწილობრივ მიმართოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად, ისე რომ არ მოხდეს **დეპოზიტის თანხის** გადატანა **კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე**, თუ **ვადიანი დეპოზიტი** გამოყენებულია **ბანკის** მიმართ **კლიენტის** ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და **ვადიანი დეპოზიტის** ვადა არ არის უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადაზე ნაკლები.

7. იმ შემთხვევაში, თუ **ვადიანი დეპოზიტი** არ არის გამოყენებული **ბანკის** მიმართ **კლიენტის** ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, ვადაზე ადრე შეწყვიტოს **ვადიანი დეპოზიტის** მოქმედება, გადაიტანოს **დეპოზიტის თანხა კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე** და არსებული თანხა მიმართოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად.

8. **კლიენტი** ვალდებულია, **ვადიანი დეპოზიტის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, **ბანკში** იქონიოს მინიმუმ ერთი აქტიური **მიმდინარე ანგარიში**.

9. **ვადიანი დეპოზიტის** ვადის გასვლის შემდეგ დეპოზიტის თანხა განთავსება **კლიენტის** მიმდინარე ანგარიშზე.

## დანართი 4 - ვადიანი ზრდადი დეპოზიტი

1. განაცხადის საფუძველზე, **ბანკი** გაუხსნის **კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშს და ვადიან ზრდად დეპოზიტს.**
2. **ბანკი** ვალდებულია, **განაცხადით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **ვადიანი ზრდადი დეპოზიტის** ვადის გასვლის შემდეგ, **დეპოზიტის თანხა** და მასზე დარიცხული **საპროცენტო განაკვეთი** დააბრუნოს იმავე ვალუტაში, რა ვალუტაშიც მიიღო ის **კლიენტისგან**. ამასთან, თუ **დეპოზიტის თანხა** განთავსებულია რუსულ რუბლში, **ბანკი** უფლებამოსილია **დეპოზიტის თანხის** გაცემა განახორციელოს **ვადიანი ზრდადი დეპოზიტის** ვადის გასვლიდან (ან/და ვადაზე ადრე შეწყვეტიდან) 3 **საბანკო დღის** ვადაში.
3. **ვადიან დეპოზიტზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **სადეპოზიტო ანგარიშზე დეპოზიტის თანხის** განთავსების დღიდან.
4. **კლიენტი** უფლებამოსილია **ვადიანი ზრდადი დეპოზიტის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, ნებისმიერ დროს, გაზარდოს **დეპოზიტის თანხის** მოცულობა.
5. **ბანკი** უფლებამოსილია არ დაუშვას **კლიენტის** მიერ **დეპოზიტის თანხის** ან მისი ნაწილის გატანა **ვადიანი ზრდადი დეპოზიტის** ვადის ამოწურვამდე, თუ უშუალოდ **განაცხადით** ან **მხარეთა** დამატებითი შეთანხმებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.
6. **სადეპოზიტო ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა/შეტანა ან/და **სადეპოზიტო ანგარიშიდან დეპოზიტის თანხის** გადარიცხვა/გატანა შესაძლებელია მხოლოდ **კლიენტის მიმდინარე ანგარიშის** მეშვეობით. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არასრულწლოვანია, **სადეპოზიტო ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა/შეტანა შესაძლებელია მხოლოდ თანხის შემომტანი პირის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით, ხოლო **სადეპოზიტო ანგარიშიდან დეპოზიტის თანხის** გადარიცხვა/გატანა შესაძლებელია მხოლოდ **ვადიანი ზრდადი დეპოზიტის** განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით.
7. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, **დეპოზიტის თანხა** სრულად ან ნაწილობრივ მიმართოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად, ისე რომ არ მოხდეს **დეპოზიტის თანხის** გადატანა **კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე**, თუ **ვადიანი ზრდადი დეპოზიტი** გამოყენებულია **ბანკის** მიმართ **კლიენტის** ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და **ვადიანი ზრდადი დეპოზიტის** ვადა არ არის უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადაზე ნაკლები.
8. იმ შემთხვევაში, თუ **ვადიანი ზრდადი დეპოზიტი** არ არის გამოყენებული **ბანკის** მიმართ **კლიენტის** ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, ვადაზე ადრე შეწყვიტოს **ვადიანი ზრდადი დეპოზიტის** მოქმედება, გადაიტანოს **დეპოზიტის თანხა კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე** და არსებული თანხა მიმართოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების

(როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად.

9. **კლიენტი** ვალდებულია, **ვადიანი ზრდადი დეპოზიტის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, **ბანკში** იქონიოს მინიმუმ ერთი აქტიური **მიმდინარე ანგარიში**.

10. **ვადიანი ზრდადი დეპოზიტის** ვადის გასვლის შემდეგ, **დეპოზიტის თანხა** განთავსება **კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე**.

## დანართი 5 - ნომინალური მფლობელობის ანგარიში

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** გაუხსნის **კლიენტს ნომინალური მფლობელობის ერთობლივ ანგარიშს** ან/და **ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებულ ანგარიშს**.
2. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა იმ **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდება **ნომინალური მფლობელობის ანგარიშის** მეშვეობით.
3. **ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე** შეიძლება განთავსდეს ან/და გადაირიცხოს მხოლოდ **ნომინალური მფლობელობის ანგარიშის** მფლობელი პირის (**კლიენტის**) კლიენტ(ებ)ის ფულადი სახსრები, რომელსაც **კლიენტი** ფლობს და განკარგავს **კანონმდებლობის** შესაბამისად, საკუთარი ფულადი სახსრებისაგან განცალკევებით.
4. **ნომინალური მფლობელობის ანგარიში კლიენტს** გაეხსნება **მიმდინარე ანგარიშის** სახით.
5. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევებში, **კლიენტი** ვალდებულია **ბანკს** წარუდგინოს ინფორმაცია მისი კლიენტ(ებ)ის ან/და მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ.
6. **ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე** წარმოებული ოპერაციების შინაარსსა და დანიშნულებაზე პასუხს აგებს **კლიენტი**.
7. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** საკუთარი სტატუსის ისეთი ცვლილებების შესახებ, რაც მას ართმევს **ნომინალური მფლობელობის ანგარიშის** ფლობის უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებული იქნება სრულად აუნაზღაუროს **ბანკს** მიყენებული ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
8. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, მოსთხოვოს **ბანკს ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე შესრულებული ოპერაციის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა, კანონმდებლობითა** და **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
9. **ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე** ვრცელდება **ბანკში** მოქმედი სტანდარტული ტარიფები განსაზღვრული ამ პირობების დანართი 1-ით.

## დანართი 6 - მოთხოვნამდე დეპოზიტი

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** გაუხსნის **კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშს** და **მოთხოვნამდე დეპოზიტს**.

2. **ბანკი** ვალდებულია, **განაცხადით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **დეპოზიტის თანხა** და მასზე დარიცხული **საპროცენტო განაკვეთი** სრულად ან ნაწილობრივ დააბრუნოს იმავე ვალუტაში, რა ვალუტაშიც მიიღო ის **კლიენტისგან**. ამასთან, თუ **დეპოზიტის თანხა** განთავსებულია რუსულ რუბლში, **ბანკი** უფლებამოსილია **დეპოზიტის თანხის** გაცემა განახორციელოს **მოთხოვნამდე დეპოზიტის** ვადის გასვლიდან (ან/და ვადაზე ადრე შეწყვეტიდან) 3 **საბანკო დღის** ვადაში.

3. **მოთხოვნამდე დეპოზიტზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვის პირობები განისაზღვრება **განაცხადით**.

4. **სადეპოზიტო ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა/შეტანა ან/და **სადეპოზიტო ანგარიშიდან დეპოზიტის თანხის** გადარიცხვა/გატანა შესაძლებელია **კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან და სადეპოზიტო ანგარიშიდან**. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არასრულწლოვანია, **სადეპოზიტო ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა/შეტანა შესაძლებელია მხოლოდ თანხის შემომტანი პირის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით, ხოლო **სადეპოზიტო ანგარიშიდან დეპოზიტის თანხის** გადარიცხვა/გატანა შესაძლებელია მხოლოდ **მოთხოვნამდე დეპოზიტის** განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით.

5. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, **დეპოზიტის თანხა** სრულად ან ნაწილობრივ მიმართოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად.

## დანართი 7 – icredo.ge ინტერნეტ-ბანკი

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** გაუაქტიურებს **კლიენტს ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკს**, რომლის საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილი იქნება მისცეს **ბანკს დავალება** დისტანციურად და მოითხოვოს **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკით** დაშვებული **ოპერაციების** განხორციელება. ამასთან, **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკით** დაშვებული **ოპერაციების** ტიპები და მათი განხორციელების პირობები შესაძლებელია შეიცვალოს ნებისმიერ დროს, **ბანკის** მიერ ცალმხრივად, რაც არ საჭიროებს **კლიენტის** დამატებით თანხმობას ან/და მის ინფორმირებას.

2. **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკით** სარგებლობისათვის **კლიენტი** უფლებამოსილია შევიდეს **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკის ვებ-გვერდზე**, გაიაროს ავტორიზაცია და მისცეს ბანკს **დავალებები** შემდეგი **ოპერაციების** განხორციელების მიზნით:

2.1. **გადარიცხვა;**

2.2. **გადახდა;**

2.3. **კოვერტაცია;**

2.4. იმ მომენტისათვის, **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკით** დაშვებული სხვადასხვა **საბანკო პროდუქტით** (მათ შორის **დეპოზიტით, ბარათით** და სხვ.) სარგებლობის დაწყების/დასრულების შესახებ **განაცხადის** შევსება.

2.5. **კლიენტის** სარგებლობაში არსებული **საბანკო პროდუქტების** შესახებ ინფორმაციის მიღება.

2.6. **ბანკის** მიერ დადგენილი სხვადასხვა **საბანკო პროდუქტის** ფარგლებში დადგენილი მომსახურების/ინფორმაციის მიღება.

2.7. შეცვალოს **ბანკში** დაფიქსირებული საცხოვრებელი/იურიდიული მისამართი ან/და **ბანკში** დაფიქსირებულ მის საკონტაქტო ტელეფონის ნომრებს ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართებს დაამატოს ახალი საკონტაქტო მონაცემები.

3. **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკით** სარგებლობის დეტალური პირობები შესაძლებელია განთავსდეს უშუალოდ **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკის ვებ-გვერდზე**.

4. **კლიენტი** ვალდებულია, **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, **ბანკში** იქონიოს მინიმუმ ერთი აქტიური **მიმდინარე ანგარიში**.

5. **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკით** განსახორციელებელი **დავალების/ოპერაციის ლიმიტები:**

| **დავალების** ტიპები | თანხობრივი და საათობრივი ლიმიტები |
|---|---|
| **კლიენტის ბანკში** არსებულ **ანგარიშებს** შორის თანხის **გადარიცხვა** | • ნებისმიერი კალენდარული დღის 00:00 საათიდან 21:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულება იმავე კალენდარულ დღეს - ულიმიტოდ. |

| | |
|---|---|
| | • ნებისმიერი კალენდარული დღის 21:00 საათიდან 00:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულება მომდევნო კალენდარულ დღეს - ულიმიტოდ. |
| **ბანკში** არსებულ **მესამე პირის** საბანკო ანგარიშზე თანხის **გადარიცხვა** | • ნებისმიერი კალენდარული დღის 00:00 საათიდან 21:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულება იმავე კალენდარულ დღეს - არაუმეტეს 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ან/და მისი ეკვივალენტის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში, გადახდის დღისთვის **ბანკის** მიერ სპეციალურად **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკისთვის** დადგენილი კომერციული კურსით.<br>• ნებისმიერი კალენდარული დღის 21:00 საათიდან 00:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულება მომდევნო კალენდარულ დღეს - არაუმეტეს 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ან/და მისი ეკვივალენტის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში, გადახდის დღისთვის **ბანკის** მიერ სპეციალურად **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკისთვის** დადგენილი კომერციული კურსით.<br>• **საბანკო დღის** 00:00 საათიდან 17:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულება იმავე **საბანკო დღეს**, ხოლო თუ **გადარიცხვის დავალება** ინიცირებულია **საბანკო დღის** 00:00 საათიდან 17:00 საათამდე ან/და **არასაბანკო დღეს** (დროის ნებისმიერ მონაკვეთში), **ოპერაცია** შესრულება მომდევნო **საბანკო დღეს** - არაუმეტეს 200,000 (ორასი ათასი) ლარის ან/და მისი ეკვივალენტის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში, გადახდის დღისთვის **ბანკის** მიერ სპეციალურად **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკისთვის** დადგენილი კომერციული კურსით. |
| სხვა კომერციულ ბანკში არსებულ როგორც **კლიენტის**, ისე **მესამე პირის** საბანკო ანგარიშზე ან/და ბიუჯეტში თანხის **გადარიცხვა** | • **საბანკო დღის** 00:00 საათიდან 17:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულება იმავე **საბანკო დღეს**, ხოლო თუ **გადარიცხვის დავალება** ინიცირებულია **საბანკო დღის** 00:00 საათიდან 17:00 საათამდე ან/და **არასაბანკო დღეს** (დროის ნებისმიერ მონაკვეთში), **ოპერაცია** შესრულება მომდევნო **საბანკო დღეს** - არაუმეტეს 200,000 (ორასი ათასი) ლარის ან/და მისი ეკვივალენტის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში, გადახდის დღისთვის **ბანკის** მიერ სპეციალურად **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკისთვის** დადგენილი კომერციული კურსით. |

| |
|---|
| *შენიშვნა:*<br><br>ნებისმიერ **დავალება გადარიცხვის** ან/და **გადახდის** შესახებ, რომელიც სცდება დადგენილ, მაქსიმალურ **ლიმიტებს**, არ შესრულება. |
| ნებისმიერ შეტყობინებას/შეკითხვას, რომელსაც **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკის** მეშვეობით მიიღებს **ბანკი კლიენტისგან საბანკო დღის** 18:00 საათამდე, **ბანკი** პასუხს გასცემს იმავე **საბანკო დღეს**, ხოლო, 18:00 საათის შემდგომ ან/და არასაბანკო დღეს (დროის ნებისმიერ მონაკვეთში) მიღებულ შეტყობინებას/შეკითხვას, **ბანკი** პასუხს გასცემს არაუგვიანეს მომდევნო **საბანკო დღეს**. |

6. **განაცხადის** საფუძველზე, **კლიენტს** უფლება აქვს:

6.1. განსაზღვროს კონკრეტული **დავალების** გაცემის ან/და **ოპერაციის** შესრულების სტანდარტები და **კლიენტის** წარმომადგენლების უფლებამოსილების დონეები. აღნიშნული სტანდარტებისა და უფლებამოსილების დონეების შემდგომი ცვლილება ასევე დასაშვებია უშუალოდ **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკის** მეშვეობით, დისტანციურად, **ბანკში** დადგენილი პირობების შესაბამისად.

6.2. განსაზღვროს ძირითადი და დამხმარე მომხმარებლები, რომლებზედაც გადანაწილებული იქნება კონკრეტული **დავალების** გაცემის ან/და **ოპერაციის** შესრულების სტანდარტები.

7. თუ უშუალოდ **განაცხადით** ან/და **მხარეთა** დამატებითი შეთანხმებით სხვა პირობა არ იქნება განსზღვრული, **კლიენტის** (ან **კლიენტის** მიერ **განაცხადით** განსაზღვრული მომხმარებლის) მიერ **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკის** პაროლის დაკარგვის შემთხვევაში, აღნიშნულ კლიენტს ან/და **კლიენტის** მიერ **განაცხადით** განსაზღვრულ მომხმარებელს უფლება აქვს მიმართოს **ბანკს** პაროლის აღდგენის მოთხოვნით. ამასთან, **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკის** დაბლოკვის შემთხვევაში, თუ ის გამოწვეულია პაროლის სამჯერ არასწორად დაფიქსირებით, **კლიენტი** უფლებამოსილია პაროლის აღსადგენად დაუკავშირდეს **ბანკის** სატელეფონო ცენტრს შემდეგ ნომერზე: +(995 32) 2424242, ხოლო **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკში** ავტორიზაციისათვის აუცილებელი მომხმარებლის სახელის (username) დაკარგვის შემთხვევაში, მის აღსადგენად **კლიენტმა** უნდა მიმართოს **ბანკის** სერვის-ცენტრს.

8. **კლიენტი** ვალდებულია, **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკის განაცხადის** შევსების მომენტში, **ანგარიშზე** იქონიოს **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკით** სარგებლობისათვის გათვალისწინებული **საკომისიო** იმ მოცულობით, რის გადახდაც **კლიენტს** უწევს შესაბამისი **განაცხადის** ხელმოწერის თარიღში.

9. **კლიენტის** მიერ **ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკით** სარგებლობის **საკომისიოს** გადახდის ვადის 1 (ერთი) თვით გადაცილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია (თუმცა არა ვალდებული) გაუთიშოს **კლიენტს ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკი**.

10. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მიმართოს **ბანკს ICREDO.GE ინტერნეტ-ბანკში** წვდომის შეჩერების/გაუქმების/აღდგენის მოთხოვნით (როგორც საკუთარი ისე მიერ

**განაცხადით** განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე მომხმარებლისათვის, ასეთების არსებობის შემთხვევაში).

## დანართი 8 - ონლაინ ბანკი

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** გააქტიურებს **კლიენტს ონლაინ ბანკს**, რომლის საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილი იქნება მისცეს **ბანკს დავალება** დისტანციურად და მოითხოვოს **ონლაინ ბანკით** დაშვებული **ოპერაციების** განხორციელება. ამასთან, **ონლაინ ბანკით** დაშვებული **ოპერაციების** ტიპები და მათი განხორციელების პირობები შესაძლებელია შეიცვალოს ნებისმიერ დროს, **ბანკის** მიერ ცალმხრივად, რაც არ საჭიროებს **კლიენტის** დამატებით თანხმობას ან/და მის ინფორმირებას. ამასთან, **ონლაინ ბანკით** სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს (მათ შორის ინდ. მეწარმეებს).
2. **ონლაინ ბანკით** სარგებლობისათვის **კლიენტი** უფლებამოსილია შევიდეს **ონლაინ ბანკის ვებ-გვერდზე**, გაიაროს ავტორიზაცია და მისცეს ბანკს **დავალებები** შემდეგი **ოპერაციების** განხორციელების მიზნით:

2.1. **გადარიცხვა**;

2.2. **გადახდა**;

2.3. **კოვერტაცია**;

2.4. **ფულადი გზავნილის** განაღდება;

2.5. იმ მომენტისათვის, **ონალიან ბანკით** დაშვებული სხვადასხვა **საბანკო პროდუქტით** (მათ შორის **დეპოზიტით**, **ბარათით** და სხვ.) სარგებლობის დაწყების/დასრულების შესახებ **განაცხადის** შევსება.

2.6. **კლიენტის** სარგებლობაში არსებული **საბანკო პროდუქტების** შესახებ ინფორმაციის მიღება.

2.7. **ბანკის** მიერ დადგენილი სხვადასხვა **საბანკო პროდუქტის** ფარგლებში დადგენილი მომსახურების/ინფორმაციის მიღება.

3. **ონლაინ ბანკით** სარგებლობის დეტალური პირობები შესაძლებელია განთავსდეს უშუალოდ **ონლაინ ბანკის ვებ-გვერდზე**.
4. **კლიენტი** ვალდებულია, **ონლაინ ბანკის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, **ბანკში** იქონიოს მინიმუმ ერთი აქტიური **მიმდინარე ანგარიში**.
5. **ონლაინ ბანკით** განსახორციელებელი **დავალების/ოპერაციის ლიმიტები:**

| **დავალების** ტიპები | თანხობრივი და საათობრივი ლიმიტები |
|---|---|
| **კლიენტის ბანკში** არსებულ **ანგარიშებს** შორის თანხის **გადარიცხვა** | • ნებისმიერი კალენდარული დღის 00:00 საათიდან 21:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულება იმავე კალენდარულ დღეს - ულიმიტოდ.<br>• ნებისმიერი კალენდარული დღის 21:00 საათიდან 00:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, |

| | |
|---|---|
| | **ოპერაცია** შესრულება მომდევნო კალენდარულ დღეს - ულიმიტოდ. |
| **ბანკში** არსებულ **მესამე პირის** საბანკო ანგარიშზე თანხის **გადარიცხვა** | • ნებისმიერი კალენდარული დღის 00:00 საათიდან 21:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულება იმავე კალენდარულ დღეს - არაუმეტეს 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ან/და მისი ეკვივალენტის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში, გადახდის დღისთვის **ბანკის** მიერ სპეციალურად **ონლაინ ბანკისთვის** დადგენილი კომერციული კურსით.<br>• ნებისმიერი კალენდარული დღის 21:00 საათიდან 00:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულება მომდევნო კალენდარულ დღეს - არაუმეტეს 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ან/და მისი ეკვივალენტის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში, გადახდის დღისთვის **ბანკის** მიერ სპეციალურად **ონლაინ ბანკისთვის** დადგენილი კომერციული კურსით.<br>• **საბანკო დღის** 00:00 საათიდან 17:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულება იმავე **საბანკო დღეს**, ხოლო თუ **გადარიცხვის დავალება** ინიცირებულია **საბანკო დღის** 00:00 საათიდან 17:00 საათამდე ან/და **არასაბანკო დღეს** (დროის ნებისმიერ მონაკვეთში), **ოპერაცია** შესრულება მომდევნო **საბანკო დღეს** - არაუმეტეს 200,000 (ორასი ათასი) ლარის ან/და მისი ეკვივალენტის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში, გადახდის დღისთვის **ბანკის** მიერ სპეციალურად **ონლაინ ბანკისთვის** დადგენილი კომერციული კურსით. |
| სხვა კომერციულ ბანკში არსებულ როგორც **კლიენტის**, ისე **მესამე პირის** საბანკო ანგარიშზე ან/და ბიუჯეტში თანხის **გადარიცხვა** | • **საბანკო დღის** 00:00 საათიდან 17:00 საათამდე **გადარიცხვის დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულება იმავე **საბანკო დღეს**, ხოლო თუ **გადარიცხვის დავალება** ინიცირებულია **საბანკო დღის** 00:00 საათიდან 17:00 საათამდე ან/და **არასაბანკო დღეს** (დროის ნებისმიერ მონაკვეთში), **ოპერაცია** შესრულება მომდევნო **საბანკო დღეს** - არაუმეტეს 200,000 (ორასი ათასი) ლარის ან/და მისი ეკვივალენტის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში, გადახდის დღისთვის **ბანკის** მიერ სპეციალურად **ონლაინ ბანკისთვის** დადგენილი კომერციული კურსით. |
| *შენიშვნა:* | |

| |
|---|
| ნებისმიერ **დავალება გადარიცხვის** ან/და **გადახდის** შესახებ, რომელიც სცდება დადგენილ, მაქსიმალურ **ლიმიტებს**, არ შესრულება. |
| ნებისმიერ შეტყობინებას/შეკითხვას, რომელსაც **ონლაინ ბანკის** მეშვეობით მიიღებს **ბანკი** **კლიენტისგან** **საბანკო დღის** 18:00 საათამდე, **ბანკი** პასუხს გასცემს იმავე **საბანკო დღეს**, ხოლო, 18:00 საათის შემდგომ ან/და არასაბანკო დღეს (დროის ნებისმიერ მონაკვეთში) მიღებულ შეტყობინებას/შეკითხვას, **ბანკი** პასუხს გასცემს არაუგვიანეს მომდევნო **საბანკო დღეს**. |

6. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მიმართოს **ბანკს** **ონლაინ ბანკში** წვდომის შეჩერების/გაუქმების/აღდგენის მოთხოვნით.

## დანართი 9 – SMS შეტყობინებები

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** გააქტიურებს **კლიენტს SMS შეტყობინებებს**, რომლის საშუალებით, **SMS შეტყობინებების განაცხადით** განსაზღვრული **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერზე, **კლიენტი** მიიღებს წინამდებარე დანართით ან/და **SMS შეტყობინებების განაცხადით** განსაზღვრულ ინფორმაციას. ამასთან, წინამდებარე დანართით ან/და **SMS შეტყობინებების განაცხადით** განსაზღვრული შეტყობინებების ტიპები და მათი გაგზავნის პირობები შესაძლებელია შეიცვალოს ნებისმიერ დროს, **ბანკის** მიერ ცალმხრივად, რაც არ საჭიროებს **კლიენტის** დამატებით თანხმობას ან/და მის ინფორმირებას.
2. **SMS შეტყობინებებით კლიენტს** საშუალება აქვს მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:
   - **ანგარიშზე** თანხის შეტანის ან/და ჩარიცხვის შესახებ და ხელმისაწვდომი ნაშთი;
   - **ანგარიშიდან** თანხის გადარიცხვის/განაღდების შესახებ და ხელმისაწვდომი ნაშთი;
   - საბანკო კრედიტის მიმდინარე გადასახადის გადახდის შესახებ;
   - საბანკო კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შესახებ;
   - დეპოზიტის ვადის გასვლის შესახებ;
   - დეპოზიტის ვადაზე ადრე დარღვევის შესახებ;
   - **SMS შეტყობინებების განაცხადით** განსაზღვრული, **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომრის ცვლილების შესახებ;
3. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ არჩეულ **SMS შეტყობინებების** პაკეტში, **ბანკის** მიერ სტანდარტულად მოხდება კონკრეტული ტიპის SMS-ის დამატება/ამოღება/ცვლილება, **კლიენტს** ავტომატურად შეეცვლება არჩეულ პაკეტის ფარგლებში მისაღები SMS-ების ნუსხა.
4. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, შესაბამისი **განაცხადით** მიმართოს **ბანკს** და მოითხოვოს არჩეული პაკეტის ფარგლებში დაშვებული კონკრეტული ტიპის SMS-ის დამატება ან/და ამოღება.
5. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **SMS შეტყობინებებით** სარგებლობის სანაცვლოდ, **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** გადასახდელი **საკომისიოს** ოდენობა მოცემულია **სტანდარტული პირობების** დანართ 1-ში.
6. **კლიენტის** მიერ **SMS შეტყობინებებით** სარგებლობის **საკომისიოს** გადახდის ვადის 2 (ორი) თვით გადაცილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია (თუმცა არა ვალდებული) გაუთიშოს **კლიენტს SMS შეტყობინებები**.
7. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მიმართოს **ბანკს SMS შეტყობინებების** წვდომის შეჩერების/გაუქმების/აღდგენის მოთხოვნით (როგორც საკუთარი ისე მიერ **განაცხადით** განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე მომხმარებლისათვის, ასეთების არსებობის შემთხვევაში).

## დანართი 10 – რჩეული მომსახურება

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** გაუაქტიურებს **კლიენტს რჩეულ მომსახურებას**, რომლის საშუალებით, **კლიენტი** მიიღებს წინამდებარე დანართით ან/და **რჩეული მომსახურების განაცხადით** განსაზღვრულ მომსახურებას. ამასთან, წინამდებარე დანართით ან/და **რჩეული მომსახურების განაცხადით** განსაზღვრული მომსახურების პირობები შესაძლებელია შეიცვალოს ნებისმიერ დროს, **ბანკის** მიერ ცალმხრივად, რაც არ საჭიროებს **კლიენტის** დამატებით თანხმობას ან/და მის ინფორმირებას. ამასთან, **რჩეული მომსახურებით** სარგებლობა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ (მათ შორის ინდ. მეწარმეებს), ისე იურიდიულ პირებს. ასევე, თუ **კლიენტი** წარმოადგენს ფიზიკურ პირს, **რჩეული მომსახურებით** სარგებლობა შეუძლიათ **კლიენტის** ოჯახის წევრებს, კერძოდ მეუღლეს, შვილს, დას, ძმას და მშობელს.
2. **რჩეული მომსახურების** ფარგლებში **კლიენტი** ისარგებლებს პირადი ბანკირის და პირადი ოფიცრის მომსახურებით და სხვადასხვა **საბანკო პრუდუქტით** სარგებლობის სანაცვლოდ გადაუხდის **ბანკს საკომისიოს** შეღავათიანი პირობებით (დეტალები განისაზღვრება **სტანდარტული პირობების** დანართ N1-ით):
3. **კლიენტის** მიერ **რჩეული მომსახურებით** სარგებლობის **საკომისიოს** გადახდის ვადის 2 (ორი) თვით გადაცილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია (თუმცა არა ვალდებული) შეუჩეროს ან/და გაუუქმოს **კლიენტს რჩეული მომსახურება**.
4. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მიმართოს **ბანკს რჩეული მომსახურების** შეჩერების/გაუქმების/აღდგენის.

## დანართი 11 – იმეილ ბანკინგი

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** გააქტიურებს **კლიენტს იმეილ ბანკინგს**, რომლის საშუალებით, **იმეილ ბანკინგის განაცხადით** განსაზღვრული **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის მისამართიდან **ბანკისათვის** გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, **კლიენტი** უფლებამოსილი იქნება მისცეს **ბანკს დავალება** და მოითხოვოს **იმეილ ბანკინგით** დაშვებული **ოპერაციების** განხორციელება ან/და მოითხოვოს წინამდებარე დანართით განსაზღვრული ინფორმაცია. ამასთან, **იმეილ ბანკინგით** დაშვებული **ოპერაციების** ტიპები, მათი განხორციელების პირობები (მათ შორის ლიმიტების მოცულობა) და მისაღები ინფორმაციის ნუსხა შესაძლებელია შეიცვალოს ნებისმიერ დროს, **ბანკის** მიერ ცალმხრივად, რაც არ საჭიროებს **კლიენტის** დამატებით თანხმობას ან/და მის ინფორმირებას.

2. **იმეილ ბანკინგით კლიენტს** საშუალება აქვს მიიღოს შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

- ინფორმაცია **ანგარიშზე** არსებული/ხელმისაწვდომი თანხის შესახებ;
- საკრედიტო/სადეპოზიტო პროდუქტებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ამონაწერი **ანგარიშიდან**;
- **ანგარიშის** რეკვიზიტები;
- ცნობა დავალიანების შესახებ;
- **საბანკო პროდუქტებთან** (როგორც საკრედიტო, ისე არასაკრედიტო) დაკავშირებული ინფორმაცია;
- **ბანკის** პროცედურებით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

3. **იმეილ ბანკინგით კლიენტს** საშუალება აქვს მოსთხოვოს **ბანკს** შემდეგი **ოპერაციის** შესრულება:

- **გადარიცხვები** საკუთარ **ანგარიშებს** შორის - ულიმიტოდ;
- ლარის **გადარიცხვა მესამე პირის** ანგარიშზე (როგორც **ბანკის** შიგნით, ისე **ბანკის** გარეთ), მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტში. 10,000 (ათი ათასი) ლარზე ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტ თანხაზე მეტის **გადარიცხვის ოპერაციის** მოთხოვნის დადასტურება უნდა მოხდეს **კლიენტთან** დამატებითი სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით, **იმეილ ბანკინგის განაცხადით** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე. ამასთან, **კლიენტის** მიერ **იმეილ ბანკინგით** ყოველდღიურად მოთხოვნილი **გადარიცხვის ოპერაციის** ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 250,000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში.
- უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვა - **ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად;
- მოთხოვნილი **ოპერაციის** გაუქმების მოთხოვნა (იმ შემთხვევაში თუ **ბანკის** მიერ არ არის დაწყებული მოთხოვნილი **ოპერაციის** შესრულების პროცესი);
- საბანკო კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვა;

- პრეტენზიის დაფიქსირება;
- **ანგარიშის** გახსნა (**კანონმდებლობით** ნებადართულ შემთხვევებში);
- დეპოზიტზე თანხის დამატება;
- დეპოზიტის დარღვევა. 10,000 (ათი ათას) ლარზე ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტ თანხაზე მეტი მოცულობის დეპოზიტის დარღვევის მოთხოვნის დადასტურება უნდა მოხდეს **კლიენტთან** დამატებითი სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით, **იმეილ ბანკინგის განაცხადით** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე;
- **ბარათის** ან/და **ბიზნეს ბარათის** დამზადება/დაბლოკვა.

4. **იმეილ ბანკინგით კლიენტს** საშუალება აქვს დაარეგისტრიროს სხვადასხვა **საბანკო პროდუქტებით** (როგორც საკრედიტო, ისე არასაკრედიტო) სარგებლობის სურვილი, რომელსაც **ბანკი** განიხილავს საკუთრი პოლიტიკა/პროცედურების შესაბამისად და აცნობებს **კლიენტს** საკუთარი გადაწვეტილების შესახებ:

- ოვერდრაფტის ლიმიტის მოთხოვნა/გაუქმება/გაზრდა/შემცირება;
- ახალი საკრედიტო ბარათის მოთხოვნა;
- საკრედიტო ბარათზე არსებული ლიმიტის გაუქმება/გაზრდა/შემცირება;
- საბანკო კრედიტის მოთხოვნა, მისი პირობების ცვლილება;
- სადაზღვევო პროდუქტების გააქტიურების ან/და არსებული სადაზღვევო პროდუქტების გაუქმების მოთხოვნა.

5. **კლიენტი** აცხადებს, რომ იგი სრულად არის პასუხისმგებელი **იმეილ ბანკინგით ბანკთან** წარმოებულ ნებისმიერი შინაარსის კომუნიკაციაზე. **ბანკი** შეასრულებს **იმეილ ბანკინგის განაცხადით** დაფიქსირებული **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის მისამართიდან და მობილური ტელეფონის ნომრიდან მიღებულ **დავალებებს**, მიუხედავად იმის კომუნიკაცია უშუალოდ კლიენტის მიერ არის წარმოებული თუ ნებისმიერი **მესამე პირის** მიერ, აღნიშნულის გარემოების გადამოწმება **ბანკის** მიერ დამატებით არ მოხდება. ამასთან, **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის დავალების** მიცემა უნდა მოხდეს **ბანკის** შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე mailbanking@credo.ge.
6. **კლიენტის** მიერ **ბანკისასთვის იმეილ ბანკინგით დავალების** წარმატებით მიცემის შემთხვევაში, **კლიენტს** საკუთარ ელექტრონული ფოსტის მისამართზე მიუვა ავტომატური შეტყობინება **ბანკის** მიერ **დავალების** მიღების თაობაზე.
7. კლიენტის დავალების წარმატებით შესრულების შემთხვევაში, **კლიენტს** საკუთარ ელექტრონული ფოსტის მისამართზე მიუვა ავტომატური შეტყობინება **ბანკის** მიერ **დავალების** შესრულების თაობაზე.
8. თუ **ბანკი იმეილ ბანკინგით დავალებას** მიიღებს **საბანკო დღის** 17:00 საათამდე, აღნიშნული **დავალება** შესრულდება იმავე **საბანკო დღეს**, ხოლო **არასაბანკო დღეს** ან/და **საბანკო დღის** 17:00 საათის შემდგომ მიღებული **დავალება** შესრულება მომდევნო **საბანკო დღეს**.

# დანართი 12 - საბავშვო დეპოზიტი

1. განაცხადის საფუძველზე, **ბანკი კლიენტის** კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე, გაუხსნის **კლიენტს სადეპოზიტო ანგარიშს** და **საბავშვო დეპოზიტს.**
2. **ბანკი** ვალდებულია, **განაცხადით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **საბავშვო დეპოზიტის** ვადის გასვლის შემდეგ, **დეპოზიტის თანხა** და მასზე დარიცხული **საპროცენტო განაკვეთი** დააბრუნოს იმავე ვალუტაში, რა ვალუტაშიც მიიღო ის **კლიენტისგან**.
3. **საბავშვო დეპოზიტზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **სადეპოზიტო ანგარიშზე დეპოზიტის თანხის** განთავსების დღიდან. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, **საბავშვო დეპოზიტის** გახსნიდან 2 (ორი) წლის გასვლის შემდეგ, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეცვალოს **დეპოზიტის თანხაზე** დასარიცხი **საპროცენტო სარგებლის** ოდენობა.
4. **კლიენტი** უფლებამოსილია **საბავშვო დეპოზიტის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, ნებისმიერ დროს, გაზარდოს **დეპოზიტის თანხის** მოცულობა.
5. **ბანკი** უფლებამოსილია არ დაუშვას **კლიენტის** მიერ **დეპოზიტის თანხის** ან მისი ნაწილის გატანა **საბავშვო დეპოზიტის** ვადის ამოწურვამდე, თუ უშუალოდ **განაცხადით** ან **მხარეთა** დამატებითი შეთანხმებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.
6. **სადეპოზიტო ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა/შეტანა შესაძლებელია მხოლოდ თანხის შემომტანი პირის (**კლიენტის** კანონიერი წარმომადგენლის) მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით, ხოლო **სადეპოზიტო ანგარიშიდან დეპოზიტის თანხის** ვადაზე ადრე გადარიცხვა/გატანა შესაძლებელია მხოლოდ **საბავშვო დეპოზიტის** განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით.
7. **კლიენტი** ვალდებულია, **საბავშვო დეპოზიტის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, **ბანკში** იქონიოს მინიმუმ ერთი აქტიური **მიმდინარე ანგარიში**.
8. **საბავშვო დეპოზიტის** ვადის გასვლის შემდეგ, **დეპოზიტის თანხა** განთავსება **კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე**.
9. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **საბავშვო დეპოზიტის** ვადაზე ადრე დარღვევა (თუ მსგავსი უფლება გათვალისწინებულია **განაცხადით** ან/და **მხარეთა** მიერ დამატებით შეთანხმებული სხვა პირობებით) დასაშვებია მხოლოდ ორივე მშობლის ან/და ყველა კანონიერი წარმომადგენლის მიერ **ბანკისათვის** ერთობლივი მიმართვის საფუძველზე, თუ **კანონმდებლობით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.

## დანართი 13 - ბიზნეს ბარათი

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** დაამზადებს და გადასცემს **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირს ბიზნეს ბარათს**, რომელიც წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას. **ბიზნეს ბარათის** დასახელება, საბარათე სქემა და **ბარათის** ტიპი განისაზღვრება შესაბამისი განაცხადით.
2. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ **ბიზნეს ბარათის განაცხადის** ხელმოწერიდან 4 (ოთხი) თვის ვადაში **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირი** არ გაიტანს **ბიზნეს ბარათს**, **ბიზნეს ბარათი** უქმდება და გადახდილი **საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **კლიენტს** არ დაუბრუნდება.
3. **ბიზნეს ბარათის** საშუალებით, **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირი** განკარგავს **კლიენტის ანგარიშზე** (რომელიც დაკავშირებულია **ბიზნეს ბარათთან**) ხელმისაწვდომ თანხას. ამასთან, ერთ **ანგარიშთან** შესაძლებელია მხოლოდ ერთი **ბიზნეს ბარათის** დაკავშირება. **ბიზნეს ბარათით ანგარიშზე** არსებული თანხის განკარგვა შესაძლებელია ბანკომატის, პოს-ტერმინალისა და ელ.კომერციის (E-commerce) მეშვეობით. **კლიენტის ანგარიშზე**, **ბიზნეს ბარათით შესრულებული ოპერაციის** ასახვის მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს. ამასთან, თუ **ოპერაციის** ფარგლებში მიმღების პროვაიდერისთვის თანხის გადახდა ხდება უცხოურ ვალუტაში და **ბიზნეს ბარათთან** დაკავშირებულ **ანგარიშზე კლიენტს** არ აქვს შესაბამისი ვალუტა, თანხის **კონვერტაცია** მოხდება აშშ დოლარში, **ბანკის** სისტემაში არსებული კონვერტაციის კურსით.
4. **ბიზნეს ბარათი** ძალაშია იმ წლის თვის ბოლომდე, რომელიც მითითებულია **ბიზნეს ბარათზე**.
5. **ბანკი ბიზნეს ბარათის PIN კოდს** გადასცემს **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირს** დალუქული კონვერტის ან/და **განაცხადით** განსაზღვრული სხვა ფორმით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **PIN კოდის მესამე პირისათვის** (მათ შორის **კლიენტის** სხვა წარმომადგენლისათვის) გადაცემა დაუშვებელია.
6. უკონტაქტო **ბიზნეს ბარათის** შემთხვევაში, **ოპერაციის** განხორციელება შესაძლებელია **PIN კოდის** გამოყენების გარეშე, **სტანდარტული პირობების** დანართ N1-ით განსაზღვრული **ლიმიტის** ფარგლებში.
7. **ბიზნეს ბარათით** განსახორციელებელი **ოპერაციების ლიმიტები** და **საკომისიოები** განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების** დანართი 1-ით;
8. **ბიზნეს ბარათის** ვალუტა განისაზღვრება შესაბამისი **განაცხადით**.
9. **PIN კოდის** სამჯერ ზედიზედ არასწორად დაფიქსირების შემთხვევაში **ბიზნეს ბარათი** დაიბლოკება. დაბლოკილ **ბიზნეს ბარათთან** დაკავშირებით **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკის** სერვისცენტრს ან/და სატელეფონო ცენტრს (032 2424242).
10. **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირს** ან/და **კლიენტს** უფლება აქვს მოითხოვოს **ბიზნეს ბარათის** დაბლოკვა ან/და მისი სტოპ-სიაში შეყვანა **ბანკის** სერვის-ცენტრში ან/და სატელეფონო ცენტრის (032 2424242) საშუალებით.
11. მას შემდეგ, რაც **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირი**, **ბიზნეს ბარათის** გამოყენებით, მისცემს **ბანკს** დავალებას **ოპერაციის** შესრულების შესახებ, მას (მათ შორის არც **კლიენტს**) არ აქვს უფლება მოსთხოვოს **ბანკს** მოთხოვნილი **ოპერაციის** შეჩერება. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაჩეროს/გააუქმოს **ოპერაცია**, **კანონმდებლობით** ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, **ბიზნეს ბარათით** შესრულებული **ოპერაციის** გასაჩივრების ვადა შედგენს 120 (ასოცი) კალენდარულ დღეს **კლიენტის** მიერ **ოპერაციის**

ინიცირების მომენტიდან, ხოლო **ბანკის** მიერ საჩივრის განხილვის ვადა - 20 (ოცი) კალენდარულ დღეს. ამასთან, განსაკუთრებული და ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, აღნიშული 20 (ოცი) დღიანი ვადა შესაძლოა გაიზარდოს 55 (ორმოცდათხუთმეტი) კალენდარულ დღემდე.

12. იმ შემთხვევაში, თუ **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირმა** დაკარგა **ბიზნეს ბარათი** ან/და **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირს** (ან/და **კლიენტს**) ეჭვი აქვს, რომ **მესამე პირისთვის** ცნობილი გახდა **PIN კოდი**, **კლიენტი** ან/და **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირი** ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს **ბანკს**, ხოლო არასამუშაო საათებში მიმართოს გაერთიანებულ საფინანსო კორპორაციას (საკონტაქტო ნომერი: 2 777 222), რის შემდეგაც **ბანკი** ან და გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია უზრუნველყოფს **ბიზნეს ბარათის** დაბლოკვას. **ბიზნეს ბარათის** განბლოკვა განხორციელდება მხოლოდ **კლიენტის** განცხადების საფუძველზე.
13. **კლიენტი** და **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირი** პასუხისმგებლები არიან ყველა იმ **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდება **ბიზნეს ბარათის** (მათ შორის **ბიზნეს ბარათის** მონაცემების) გამოყენებით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული **ოპერაცია** განხორციელებულია **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირის** თუ **მესამე პირის** მიერ (მათ შორის **კლიენტის** ან/და **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირის** ნების საწინააღმდეგოდ).
14. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან/და გააუქმოს **ბიზნეს ბარათის** მოქმედება და ასევე მოითხოვოს **ბიზნეს ბარათის** უკან დაბრუნება.
15. **ბიზნეს ბარათის** მოქმედების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში, **კლიენტის** მოთხოვნის საფუძველზე, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს **კლიენტს ანგარიშზე** არსებული ხელმისაწვდომი თანხა.
16. **ბანკი** უფლებამოსილია არ შეასრულოს **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირის** მიერ **ბიზნეს ბარათის** გამოყენებით **ბანკისათვის** მიცემული **დავალება**, თუ **ბიზნეს ბარათთან** დაკავშირებულ **ანგარიშზე** არ არის **დავალებით** მოთხოვნილი **ოპერაციის** შესასრულებლად საკმარისი თანხა.
17. **კლიენტი** და **ბიზნეს ბარათით მოსარგებლე პირი** ვალდებულნი არიან შეინახონ **ბიზნეს ბარათის** გამოყენებით შესრულებულ **ოპერაციასთან** დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცენ ისინი **ბანკს**, მოთხოვნაშივე განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
18. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, მოსთხოვოს **ბანკს ბიზნეს ბარათით** შესრულებული **ოპერაციის** შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა, **კანონმდებლობითა** და **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
19. **ბიზნეს ბარათის** ნებისმიერ მიზეზით გაუქმების შემთხვევაში, **კლიენტს** არ დაუბრუნდება **ბიზნეს ბარათის** დამზადების **საკომისიო**.

## დანართი 14 - კლებადი დეპოზიტი

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** გაუხსნის **კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშს** და **კლებად დეპოზიტს**.
2. **ბანკი** ვალდებულია, **განაცხადით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **კლებადი დეპოზიტის** ვადის გასვლის შემდეგ ან/და მხარეთა შეთანხმებული სხვა პირობებით, **დეპოზიტის თანხა** და მასზე დარიცხული **საპროცენტო განაკვეთი** დააბრუნოს იმავე ვალუტაში, რა ვალუტაშიც მიიღო ის **კლიენტისგან**.
3. **კლებად დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთის** დარიცხვა დაიწყება **სადეპოზიტო ანგარიშზე დეპოზიტის თანხის** განთავსების დღიდან. ამასთან, **სადეპოზიტო ანგარიშზე** თანხის შეტანა დაიშვება ერთჯერადად, მხოლოდ **კლებადი დეპოზიტის** გახსნის მომენტში.
4. **ბანკი** უფლებამოსილია არ დაუშვას **კლიენტის** მიერ **დეპოზიტის თანხის** ან მისი ნაწილის გატანა **კლებადი დეპოზიტის** ვადის ამოწურვამდე ან/და მხარეთა შორის შეთანხმებულ სხვა ვადამდე, თუ უშუალოდ **განაცხადით** ან **მხარეთა** დამატებითი შეთანხმებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.
5. **სადეპოზიტო ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა/შეტანა ან/და **სადეპოზიტო ანგარიშიდან დეპოზიტის თანხის** გადარიცხვა/გატანა შესაძლებელია მხოლოდ **კლიენტის მიმდინარე ანგარიშის** მეშვეობით. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არასრულწლოვანია, **სადეპოზიტო ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა/შეტანა შესაძლებელია მხოლოდ თანხის შემომტანი პირის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით, ხოლო **სადეპოზიტო ანგარიშიდან დეპოზიტის თანხის** გადარიცხვა/გატანა შესაძლებელია მხოლოდ **კლებადი დეპოზიტის** განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით.
6. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, **დეპოზიტის თანხა** სრულად ან ნაწილობრივ მიმართოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად, ისე რომ არ მოხდეს **დეპოზიტის თანხის** გადატანა **კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე**, თუ **კლებადი დეპოზიტი** გამოყენებულია **ბანკის** მიმართ **კლიენტის** ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და **კლებადი დეპოზიტის** ვადა არ არის უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადაზე ნაკლები.
7. იმ შემთხვევაში, თუ **კლებადი დეპოზიტი** არ არის გამოყენებული **ბანკის** მიმართ **კლიენტის** ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, ვადაზე ადრე შეწყვიტოს **კლებადი დეპოზიტის** მოქმედება, გადაიტანოს **დეპოზიტის თანხა კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე** და არსებული თანხა მიმართოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად.

8. **კლიენტი** ვალდებულია, **კლებადი დეპოზიტის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, **ბანკში** იქონიოს მინიმუმ ერთი აქტიური **მიმდინარე ანგარიში**.

9. **კლებადი დეპოზიტის** ვადის გასვლის შემდეგ, მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება და მასზე სრულად გავრცელდება, **კლებადი დეპოზიტის** ვადის გასვლის დღისთვის, **ბანკში** მოქმედი პირობები (მათ შორის **საპროცენტო განაკვეთის** ოდენობა), თუ **კლებადი დეპოზიტის** ვადის გასვლამდე არანაკლებ 3 (სამი) **საბანკო დღით** ადრე **კლიენტი** არ განაცხადებს წერილობით უარს **კლებადი დეპოზიტის** ვადის ავტომატურ გაგრძელებაზე. ამასთან, მიუხედავად **კლიენტის** აღნიშნული განცხადების არარსებობისა, **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, უარი განაცხადოს **კლებადი დეპოზიტის** ვადის გაგრძელებაზე, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა ან/და მისთვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე.

## დანართი 15 - პოს-ტერმინალითა და MyCredo Terminal აპლიკაციით მომსახურების პირობები

1. ამ დანართის მიზნებისთვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ქვემოთ მოცემული მნიშვნელობა, ხოლო იმ ტერმინებს, რომლებიც არ არის განმარტებული ამ პუნქტში, აქვთ **სტანდარტული პირობების** პირველი პუნქტით განსაზღვრული მნიშვნელობები:

- **ბარათი - ემიტენტის** მიერ გამოშვებული ნებისმიერი ტიპის ბარათი (გარდა ვირტუალური ბარათისა), რომლითაც მისი **მფლობელი** ახდენს ანგარიშსწორებას **კლიენტთან**.
- **კლიენტი** - პირი, რომელიც სარგებლოს **ბანკის პოს-ტერმინალის/MyCredo Terminal აპლიკაციის** მომსახურებით.
- **მომხმარებელი** - პირი, რომელიც ფლობს **ბარათს**.
- **ავტორიზაცია** - **ბანკის** და/ან საბარათე საგადახდო სისტემის მიერ გაცემული ნებართვა ოპერაციის განხორციელებაზე.
- **ემიტენტი** - პირი, რომელიც ახდენს **ბარათის** გამოშვებას.
- **პოს-ტერმინალი** - ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება **კლიენტის** ობიექტში **ბარათით** გადახდის განსახორციელებლად.
- **MyCredo Terminal აპლიკაცია** - ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა Android მოწყობილობ(ებ)ისთვის, რომლის მეშვეობითაც **მომსახურების ობიექტ(ებ)ში** განხორციელდება **ბარათით** უკონტაქტო გადახდები სმარტფონის მობილური აპლიკაციის საშუალებით.
- **საბარათე ოპერაცია** - **ბარათის** გამოყენებით და **პოს-ტერმინალის/MyCredo Terminal აპლიკაციის** მეშვეობით განხორციელებული უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაცია.
- **აფილირებული პირი** - **ბანკის** აფილირებული პირი, შპს ,,საბანკო სისტემის სერვის კომპანია" (**პოს-ტერმინალების/MyCredo Terminal აპლიკაციის** მომსახურებაზე პასუხისმგებელი **ბანკის** კონტრაქტორი პირი).
- **დღის დახურვა (შედეგების შედარება)** - **საბანკო დღის** განმავლობაში **პოს-ტერმინალის/ MyCredo Terminal აპლიკაციის** მეშვეობით განხორციელებული **ტრანზაქციების დამუშავება**.
- **ტრანზაქციის დამუშავება** - **საბანკო დღის** განმავლობაში **პოს-ტერმინალის/MyCredo Terminal აპლიკაციის** მეშვეობით განხორციელებული **ტრანზაქციების** შესახებ ინფორმაციის მიწოდება **აფილირებული პირისათვის**.
- **მომსახურების ობიექტ(ებ)ი** - **პოს-ტერმინალის/MyCredo Terminal აპლიკაციის განაცხადის** დანართ N1-ით განსაზღვრული **კლიენტის** სავაჭრო/მომსახურების ობიექტები, სადაც **კლიენტი** ახორციელებს **მომხმარებლების** მომსახურებას.
- **ტრანზაქცია** - **ავტორიზაციისა** და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა.
- **ფიქსირებული საკომისიო** - თანხის მოცულობა, რომლიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: **განაცხადის** შესაბამის გრაფაში ან/და **ბანკის ვებ-გვერდზე** მითითებული **საკომისიოს** ოდენობა,

რომელსაც **კლიენტი** გადაუხდის **ბანკს** თვეში ერთხელ და დაემატება **განაცხადით** ან/და **ბანკის ვებ-გვერდზე** გათვალისწინებული **ბარათით** განხორციელებული თითოეული **ტრანზაქციის საკომისიოს**.

- **პოს-ტერმინალის შევსებადი საკომისიო** - თანხის მოცულობა, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი კალენდარული თვის დასაწყისში დაითვლება **კლიენტის** თითოეული **პოს-ტერმინალის** წინა თვის ბრუნვიდან მიღებული **საკომისიო**.
- **სავაჭრო ობიექტის შევსებადი საკომისიო** - თანხის მოცულობა, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი კალენდარული თვის დასაწყისში დაითვლება **კლიენტის** თითოეულ სავაჭრო ობიექტზე არსებული **პოს-ტერმინალების** წინა კალენდარული თვის ბრუნვიდან მიღებული **საკომისიოს** ჯამი.
- **კლიენტის შევსებადი საკომისიო** - თანხის მოცულობა, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი კალენდარული თვის დასაწყისში დაითვლება **კლიენტის** წინა თვის ბრუნვიდან მიღებული **საკომისიოს** ჯამი.
- **ფისკალური ტერმინალი** - **პოს-ტერმინალი**, რომელსაც დამატებული აქვს სალარო აპარატის ფუნქცია, რაც გულისხმობს ნაღდი ანგარიშსწორების დროს სალაროს ჩეკის ამობეჭდვის შესაძლებლობას და იმავე ფუნქციების განხორციელებას, რაც გააჩნია სალარო აპარატს.

**2. პოს-ტერმინალითა და MyCredo Terminal აპლიკაციით მომსახურების საგანი**

2.1 **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი კლიენტის მომსაუხურების ობიექტ(ებ)ს** უზრუნველჰყოფს **პოს-ტერმინალის ან/და MyCredo Terminal აპლიკაციით** მომსახურებით, რაც გულისხმობს **კლიენტის** მიერ გაწეული და **მომხმარებლის** მიერ მიღებული მომსახურების ან/და პროდუქტის საფასურის **ბარათით**/უკონტაქტო გადახდას, რომლის შედეგადაც მიღებულ თანხებს, **ბანკი** ჩარიცხავს **კლიენტის ანგარიშზე**.

2.2 **პოს-ტერმინალითა და MyCredo Terminal აპლიკაციით** მომსახურების **საკომისიოს** ოდენობა და ტიპები განისაზღვრება **სტანდარტული პირობების** დანართი N1-ით.

**3. მხარეთა** უფლება-მოვალეობები:

3.1 **პოს-ტერმინალითა და MyCredo Terminal აპლიკაციით** მომსახურების შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია:

3.1.1 **ბარათით ავტორიზაციის** ჩატარება მოითხოვოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

3.1.2 **ბანკისგან** ან/და **აფილირებული პირისგან** მიღებული სარეკლამო-საინფორმაციო მასალები განათავსოს **მომსახურების ობიექტ(ებ)ში** მათთან შეთანხმებულ ადგილებში.

3.1.3 არ გადასცეს **მესამე პირს** ინფორმაცია **პოს-ტერმინალით/MyCredo Terminal აპლიკაციით** ჩატარებულ ოპერაციებზე და არ მისცეს მათ ნება მონაცემები გამოიყენონ **ბანკთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე, გარდა **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შემთხვევისა.

3.1.4 გარდა ტექნიკური შეფერხებით გამოწვეული მიზეზებისა, **მომხმარებელს** არ განუცხადოს უარი **პოს-ტერმინალის/MyCredo Terminal აპლიკაციის** მეშვეობით ანგარიშსწორებაზე. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** დაარღვევს ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირობას **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია გადაუხადოს **ბანკს** პირგასამტეხლო 300 (სამასი) ლარის ოდენობით თითო შემთხვევაზე.

3.1.5 არ გააძვიროს გასაწევი მომსახურების და/ან სარეალიზაციო პროდუქტის ღირებულებას იმის გამო, თუ **მომხმარებელი** გამოთქვამს სურვილს ანგარიშსწორებისათვის გამოიყენოს **ბარათი** და **პოს-ტერმინალი/MyCredo Terminal აპლიკაცია**.

3.1.6 არ მოახდინოს **ბარათით** თანხის განაღდება და არ განახორციელოს უსაქონლო ოპერაციები, მომსახურების ან/და პროდუქტის ნაცვლად **მომხმარებელზე** ნებისმიერი ოდენობის თანხის გადაცემა.

3.1.7 **საბარათე ოპერაციის** განხორციელებამდე **მომხმარებლისათვის** თვალსაჩინო გახადოს **საბარათე ოპერაციის** თანხა **პოს-ტერმინალის/MyCredo Terminal აპლიკაციის** ეკრანის ან **პოს-ტერმინალთან/MyCredo Terminal აპლიკაციასთან** ინტეგრირებული სხვა ეკრანის საშუალებით, ხოლო ელექტრონული კომერციის ოპერაციის შემთხვევაში – კომპიუტერის, ტელეფონის, პლანშეტის ან სხვა მოწყობილობის ეკრანის საშუალებით.

3.1.8 **ბანკის** მიერ ემიტირებული **ბარათით** ანგარიშსწორებისათვის გამოიყენოს მხოლოდ ამ დანართის საფუძველზე მიღებული **პოს-ტერმინალები/MyCredo Terminal აპლიკაცია.**

3.1.9 დარწმუნდეს, რომ გადახდა წარმატებულია და ყველა ამობეჭდილ ქვითარზე წერია 000 პასუხის კოდი და მხოლოდ ამის მერე გაუწიოს **ბარათის მფლობელს** მომსახურება.

3.1.10 შეინახოს **პოს-ტერმინალის/ MyCredo Terminal** ქვითრები (მათ შორის ელექტრონული) 6 (ექვსი) თვის ვადით და გადასცეს **ბანკს** წერილობითი მოთხოვნიდან 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში;

3.1.11 **ხელშეკრულების** შეწყვეტის თაობაზე არანაკლებ 3 (სამი) თვით ადრე აცნობოს **ბანკს**.

3.2 **პოს-ტერმინალით** მომსახურების შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია:

3.2.1 **ბანკისგან** ან/და **აფილირებული პირისგან** ჩაიბაროს **პოს-ტერმინალები**.

3.2.2 გამოიყენოს **ბანკისგან** ან/და **აფილირებული პირისგან** მიღებული **პოს-ტერმინალები** და შესაბამისი მასალები მხოლოდ ამ დანართით განსაზღვრული მიზნებისათვის და არ დაუშვას მათი დაკარგვა/დაზიანება. **პოს-ტერმინალის** დაკარგვა/დაზიანების შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებული იქნება **ბანკს** გადაუხადოს ჯარიმა თითოეული დაკარგული/დაზიანებული **პოს-ტერმინალის** ღირებულების სრული ოდენობით, დაკრგვის/დაზიანების ფაქტზე **ბანკის** მიერ აქტის შედგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

3.2.3 **პოს-ტერმინალით** მომსახურების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის ან/და ერთი ან რამდენიმე **მომსახურების ობიექტის** შემთხვევაში, დაუყოვნებლივ (თუმცა არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში) დაუბრუნოს **ბანკს პოს-ტერმინალები**. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია **ბანკს** აუნაზღაუროს დაუბრუნებელი **პოს-ტერმინალების** სრული ღირებულება.

3.2.4 არაუგვიანეს ყოველი მომდევნო **საბანკო დღის** 9:00 საათამდე დახუროს წინა დღე და მოახდინოს წინა დღის **ტრანზაქციის** დამუშავება.

3.2.5 **ბარათის მაგნიტური ზოლით** შესრულებულ **ტრანზაქციის** შემთხვევაში მოსთხოვოს **ბარათის მფლობელს** პირადობის დამადასტურებელი საბუთი და დარწმუნდეს, რომ **ბარათის** მონაცემები ემთხვევა **ბარათის მფლობელის** მონაცემებს, ასევე, ასეთი **ბარათით** შესრულებულ **ტრანზაქციის** დოკუმენტზე აუცილებლად მოაწერინოს ხელი.

3.3 **MyCredo Terminal აპლიკაციით** მომსახურების შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია:

3.3.1 **MyCredo Terminal აპლიკაციით** სარგებლობისთვის დააყენოს **MyCredo Terminali აპლიკაცია** და MyCredo Terminali Pin App აპლიკაციები, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან.

3.4 **ბანკი** ვალდებულია:

3.4.1 **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, თვეში ერთხელ, თითოეული **საბარათე ოპერაციის** შესახებ **კლიენტისათვის** ხელმისაწვდომი გახადოს შემდეგი ინფორმაცია: ა) **ტრანზაქციის** უნიკალური კოდი, რომელიც **კლიენტს** მისცემს საშუალებას მოახდინოს **საბარათე ოპერაციის** იდენტიფიცირება; ბ) **კლიენტის ანგარიშზე** ჩასარიცხი **საბარათე ოპერაციის** თანხა და ვალუტა.

3.4.2 მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (**კლიენტის** მიერ ამ დანართის 3.2.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებისას) **კლიენტის ანგარიშზე** ჩარიცხოს **ბარათით** ჩატარებული **საბარათე ოპერაციების** თანხები **საბარათე ოპერაციების** განხორციელებიდან (შესაბამისი თანხის მიღებიდან) არაუგვიანეს მეორე **საბანკო დღისა**.

3.5 **მხარეები** თანხმდებიან, რომ:

3.5.1 **კლიენტის** მხრიდან რაიმე პირობის დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მოსალოდნელი **ჩარჯბექის**, ჯარიმის ან/და ზარალის ანაზღაურების მიზნით (მათ შორის **ჩარჯბექის** პროცესის დასრულებამდე) **ბანკი** უფლებამოსილია გააჩეროს და დაბლოკოს **კლიენტისთვის** ჩასარიცხი თანხა (VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის წესებით განსაზღვრული ვადით და პირობებით). ამასთან, თუ დაბლოკილი/ჩამოჭრილი თანხა სრულად არ ფარავს **კლიენტის** დავალიანებას **ბანკის** მიმართ, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან** ჩამოწეროს თანხა.

3.5.2 **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, მოითხოვოს **კლიენტისა** და **პოს-ტერმინალით/MyCredo Terminal აპლიკაციით** განხორციელებულ **ტრანზაქციებთან** დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

3.5.3 **ბანკი** უფლებამოსილია, **ჩარჯბექის** შემთხვევაში, **ჩარჯბექის** პროცესის დასრულებამდე, მოახდინოს VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის მიერ უკან გათხოვილი თანხის სრული ანაზღაურება.

3.6 **პოს-ტერმინალით** მომსახურების შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ:

3.6.1 თუ კალენდარული თვის განმავლობაში **პოს-ტერმინალის შევსებადი საკომისიო** აღმოჩნდება **განაცხადით** განსაზღვრულ **პოს-ტერმინალის შევსებად საკომისიოზე** ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ საკომისიოებს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშ(ებ)იდან**, რაზეც **კლიენტი** წინასწარ აცხადებს თანხმობას. **მხარეები** თანხმდებიან, რომ წინა კალენდარული თვის ბრუნვიდან მიღებული **საკომისიო** დაიანგარიშება **კლიენტის ანგარიშზე** წინა კალენდარულ თვეში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხებიდან.

3.6.2 თუ კალენდარული თვის განმავლობაში **სავაჭრო ობიექტის შევსებადი საკომისიოს** ჯამი აღმოჩნდება განაცხადით განსაზღვრულ **სავაჭრო ობიექტის შევსებად საკომისიოზე** ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ საკომისიოებს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება **კლიენტის** ნებისმიერი **ანაგრიშ(ებ)იდან**, რაზეც **კლიენტი** წინასწარ აცხადებს თანხმობას. **მხარეები** თანხმდებიან, რომ წინა კალენდარული თვის ბრუნვიდან მიღებული **საკომისიო** დაიანგარიშება **კლიენტის ანგარიშზე** წინა კალენდარულ თვეში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხებიდან.

3.6.3 თუ კალენდარული თვის განმავლობაში **კლიენტის შევსებადი საკომისიოს** ჯამი აღმოჩნდება განაცხადით განსაზღვრულ **კლიენტის შევსებად საკომისიოზე** ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ საკომისიოებს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება **კლიენტის** ნებისმიერი **ანაგრიშ(ებ)იდან**, რაზეც **კლიენტი** წინასწარ აცხადებს თანხმობას. **მხარეები** თანხმდებიან, რომ წინა კალენდარული თვის ბრუნვიდან მიღებულ **საკომისიოდ** დაიანგარიშება **კლიენტის ანგარიშზე** წინა კალენდარულ თვეში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხებიდან.

**4.** **მხარეთა** პასუხისმგებლობა:

4.1 **ბანკი** პასუხს არ აგებს **კლიენტსა** და **მომხმარებელს** შორის წამოჭრილ დავაზე.

4.2 ამ დანართის 3.1.6. ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის **კლიენტის** მხრიდან დარღვევის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია **ბანკს** გადაუხადოს ჯარიმა გაცემული ნაღდი თანხის სამმაგი ოდენობით.

**5.** ზოგადი პირობები:

5.1 **ბანკი** ვალდებულია **კლიენტს** გადაურიცხოს **ბარათით** განხორციელებული თითოეული **საბარათე ოპერაციის** თანხა **საკომისიოს** გამოკლებით.

5.2 **ბანკი** უფლებამოსილია **საბარათე ოპერაციის** შესრულების პროცესში, **კლიენტის** მიერ რაიმე ვალდებულების (პროცედურის) დარღვევის ან/და შეცდომის დაფიქსირების შემთხვევაში, გააჩეროს და დაარეზერვოს **კლიენტისათვის** ჩასარიცხი თანხა.

5.3 **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ამ დანართის ნებისმიერი პირობა (მათ შორის **საკომისიოს** ოდენობები), **კლიენტთან** დამატებითი შეთანხმების გარეშე. აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია ცვლილებების ძალაში შესვლამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე პირადად ეცნობება **კლიენტს** სმს-ის, ელექტრონული ფოსტის ან/და კურიერის მეშვეობით. ამასთან, თუ რაიმე პირობის არ აუარესებს **კლიენტის** მდგომარეობას, **ბანკი** თავისუფლდება შეტყობინების ვალდებულებისგან.

5.4 **ბანკი** უფლებამოსილია უაქცეპტოდ ჩამოჭრას **კლიენტის ანგარიშზე** შეცდომით ჩარიცხული თანხა. **კლიენტის ანგარიშზე** თანხის არარსებობის შემთხვევაში მოითხოვოს თანხის ანაზრაურება.

5.5 **პოს-ტერმინალის** მომზადება სამუშაო პროცესისთვის:

- სამუშაო დღის დაწყებამდე, სასურველია **პოს-ტერმინალის** გადატვირთვა, რათა მომზადდეს იგი მომდევნო სამუშაო დღისათვის.
- **პოს-ტერმინალის** გადატვირთვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

\- გამოვრთოთ **პოს-ტერმინალი** დენის წყაროდან;

\- დავაჭიროთ წითელ ღილაკს, რამდენიმე წამით თითის აუღებლად, სანამ **პოს-ტერმინალი** არ გაითიშება;

\- შევაერთოთ დენის წყარო **პოს-ტერმინალში**, რის შემდეგაც **პოს-ტერმინალი** ავტომატურად ჩაირთვება. თუ **პოს-ტერმინალი** ავტომატურად არ ჩაირთვება დააჭირეთ მწვანე თილაკს რამდენიმე წამით თითის აუღებლად, სანამ **პოს-ტერმინალი** არ ჩაირთვება.

- **პოს-ტერმინალს** აქვს განყოფილება, სადაც მოთავსებულია ქვითრის ქაღალდი. თუ **პოს-ტერმინალი** დაიწყებს მანიშნებელი წითელი ზოლებით ქვითრის ბეჭდვას ე.ი ქაღალდი მალე ამოიწურება და უნდა შეიცვალოს.

5.6 **MyCredo Terminal აპლიკაციის** გამოყენების წესი:

- **MyCredo Terminal აპლიკაცია** მუშაობს მხოლოდ Android ტიპის მოწყობილობებზე (ოპერაციული სისტემა სავალდებულოა იყოს ანდროიდი - მინიმალური მოთხოვნილი ვერსია 8.1).
- **MyCredo Terminal აპლიკაციით** უკონტაქტო გადახდების მიღებისათვის Android ტიპის მოწყობილობა აღჭურვილი უნდა იყოს NFC ტექნოლოგიით.

5.7 **ბარათის** გატარება **პოს-ტერმინალითა** და **MyCredo Terminal აპლიკაციით** მომსახურების შემთხვევაში:

- გაითვალისწინეთ, რომ ორი ქვითარი იბეჭდება მხოლოდ წარმატებულად დასრულებული **საბარათე ოპერაციისა** ან რევერსალის (წარმატებული **საბარათე ოპერაციის** გაუქმების)

შემდეგ. წარუმატებელი (უარყოფილი) **ტრანზაქციის** შემთხვევაში იბეჭდება მხოლოდ ერთი ქვითარი.

- წარმატებული **ტრანზაქციის** ქვითარზე RESPONS CODE-ში მითითებული ექნება 000-ები. **კლიენტის** წარმომადგენელი აუცილებლად უნდა დააკვირდეს ამ კოდს და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეს/მიაწოდოს **მომხმარებელს** შეძენილი ნივთი/მომსახურება. ყველა სხვა კოდი არის უარყოფის კოდი და **მომხმარებელს** არ ჩამოეჭრება თანხა **ბარათიდან**.

5.8 **ბარათის** გატარება **პოს-ტერმინალით** მომსახურების შემთხვევაში:

- **საბარათე ოპერაციის** შესრულება შესაძლებელია როგორ ჩიპის ისე მაგნიტური ზოლის გამოყენებით. **ბარათის** გატარების დროს (თუ **ბარათი** არის უჩიპო) **ბარათის** მაგნიტური ზოლი უნდა იყოს ქვედა მარცხენა მხარეს მიმართული.
- **ტრანზაქციის** დასულების შემდეგ **პოს-ტერმინალზე** იბეჭდება ქვითარი.

5.9 **ბარათის** გატარება **MyCredo Terminal აპლიკაციით** მომსახურების შემთხვევაში:

- **MyCredo Terminal აპლიკაციით** ტრანზაქციის დასულების შემდეგ ქვითარი შესაძებელია გაიგზავნოს SMS და E-mail არხების მეშვეობით, ასევე, დასკანერებული უნდა იყოს QR კოდით.
- **MyCredo Terminal აპლიკაციით** მომსახურების შემთხვევაში, საბარათე ოპერაციის შესრულების დროს თუ ტრანზაქცია აღემატება 100 (ასი) ლარს საჭიროა ტრანზაქცია დადასტურდეს PIN კოდით.
- **MyCredo Terminal აპლიკაციის** შემთხვევაში დღის დახურვა განხორციელდება ავტომატურად საბანკო დღის 23:30 საათზე.
- **MyCredo Terminal აპლიკაციით**ა და **პოს-ტერმინალით** მომსახურებისას ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი უარყოფის კოდები:

| **კოდი** | **მნიშვნელობა** |
|---|---|
| **000** | **წარმატებული ავტორიზაცია** |
| 100 | **უარი !**<br>მიზეზის მითითების გარეშე. |
| 101, 201 | **უარი !**<br>ბარათი ვადაგასულია. |
| 106,206 | **უარი !**<br>ბარათი დაბლოკილია პინის სამჯერ არასწორად აკრეფვის გამო |
| 110 | **უარი !**<br>არასწორი თანხა |

| | |
|---|---|
| 116 | **უარი !**<br>მომხმარებელს არ აქვს საკმარისი თანხა ბარათზე |
| 117 | **უარი !**<br>არასწორი პინ კოდი |
| 119 | **უარი !**<br>ტრანზაქცია არ არის ნებადართული მომხმარებისათვის |
| 120 | **უარი !**<br>ბარათი ტარდება არასწორ ტერმინალზე |
| 121 | **უარი!** !<br>მომხმარებელი აჭარბებს 24 საათიან განაღდების ლიმიტს. ხოლო თუ ტრანზაქციის თანხა 1500 აშშ დოლარზე ნაკლებია ე.ი. ისეთ პოს-ტერმინალზე ჩამოტარდა სადაც არ გვაქვს სერვისი. |
| 128 | **უარი !**<br>ტექნიკური ხარვეზი |
| 208 | **უარი !**<br>ბარათი დაბლოკილია დაკარგულის სტატუსით |
| 400 | **უარი !**<br>თანხა დარევერსდა და დაბრუნდა ბარათზე |
| 909,910,911 | **უარი !**<br>სისტემური ხარვეზი |

- **პოს-ტერმინალი,** ყოველდღე, **კლიენტის** მიერ მითითებულ დროს, ავტომატურად აკეთებს დღის დახურვას და ამოდის გატარებების რეპორტი სრულად. დღის დახურვის ქვითარში ჩანს ყველა გატარებული და დარევერსებული **ტრანზაქცია**, შესაბამისი თანხები. დღის დახურვის შემდეგ შესრულებული **საბართე ოპერაციები** მოხვდება მომდევნო დღის დახურვის პროცესში და დამუშავდება მომდევნო დღის **ტრანზაქციებთან** ერთად.

5.10 უსაფრთხოების ზომები **ბარათით** მომსახურებისას:

- **ბარათი** უნდა გამოიყენოს მხოლოდ კანონიერმა მფლობელმა.
- **ბარათით** ჩატარებული არაკანონიერ ქმედებებად იგულისხმება სხვისი **ბარათის** გამოყენება.
- **საბარათე ოპერაციის** ჩატარებისას ყურადღება მიაქციეთ **ბარათის** მოქმედების ვადას და დარწმუნდით რომ **ბარათი** არ არის დაზიანებული.
- **ბარათის** მოქმედების ვადაში მითითებულია მხოლოდ თვე და წელი. **ბარათი** მოქმედია თვის ბოლო რიცხვამდე.

- **პოს-ტერმინალიდან** ჩეკის ამობეჭდვის შემდგომ დარწმუნდით, რომ ჩეკზე დაბეჭდილი **ბარათის** ნომერი ემთხვევა **ბარათზე** არსებულ (ემბოსირებულ) **ბარათის** ნომერს (პირველი 6 ციფრი და ბოლო 4 ციფრი)
- **ბარათთან** ან **მომხმარებელთან** მიმართებაში რაიმე ეჭვის შეტანისას ან თუ **ბარათზე** ემბოსირებული ნომერი არ ემთხვევა ჩეკზე დაბეჭდილ ნომერს, **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **მომხმარებელს** პირადობის დამადასტურებელი საბუთი, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **ბანკს** და შეასრულოს მისი მომდევნო ინსტრუქციები.
- თითოეული შესრულებული **საბარათე ოპერაციის** ჩეკი **კლიენტმა** უნდა შეინახოს 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

## დანართი 16 - ერთობლივი დეპოზიტი

1. ერთობლივი **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** გაუხსნის ორ **კლიენტს ერთობლივ სადეპოზიტო ანგარიშს** და **ერთობლივ დეპოზიტს.**
2. **ბანკი** ვალდებულია, **განაცხადით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **ერთობლივი დეპოზიტის** ვადის გასვლის შემდეგ, **დეპოზიტის თანხა** და მასზე დარიცხული **საპროცენტო განაკვეთი** დააბრუნოს ერთობლივ **მიმდინარე ანგარიშზე** იმავე ვალუტაში, რა ვალუტაშიც მიიღო ის **კლიენტებისგან**.
3. **ერთობლივ დეპოზიტზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **ერთობლივ სადეპოზიტო ანგარიშზე დეპოზიტის თანხის** განთავსების დღიდან.
4. თითოეული **კლიენტი** უფლებამოსილია, დამოუკიდებლად, მეორე **კლიენტის** თანხმობის გარეშე, **ერთობლივი დეპოზიტის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, ნებისმიერ დროს, გაზარდოს **დეპოზიტის თანხის** მოცულობა.
5. **ბანკი** უფლებამოსილია არ დაუშვას რომელიმე **კლიენტის** მიერ **დეპოზიტის თანხის** ან მისი ნაწილის გატანა (მათ შორის ორივე **კლიენტის** მომართვის შემთხვევაშიც) **ერთობლივი დეპოზიტის** ვადის ამოწურვამდე, თუ უშუალოდ **განაცხადით** ან **მხარეთა** დამატებითი შეთანხმებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.
6. **ერთობლივ სადეპოზიტო ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა/შეტანა ან/და **ერთობლივი სადეპოზიტო ანგარიშიდან დეპოზიტის თანხის** გადარიცხვა/გატანა შესაძლებელია მხოლოდ **კლიენტების ერთობლივი მიმდინარე ანგარიშის** მეშვეობით.
7. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერი **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, **დეპოზიტის თანხა** სრულად ან ნაწილობრივ მიმართოს ერთ-ერთი **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად, ისე რომ არ მოხდეს **დეპოზიტის თანხის** გადატანა **კლიენტების ერთობლივ მიმდინარე ანგარიშზე**, თუ **ერთობლივი დეპოზიტი** გამოყენებულია **ბანკის** მიმართ მინიმუმ ერთ-ერთი **კლიენტის** ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და **ერთობლივი დეპოზიტის** ვადა არ არის უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადაზე ნაკლები.
8. ორივე **კლიენტი** ვალდებულია, **ერთობლივი დეპოზიტის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, **ბანკში** იქონიონ მინიმუმ ერთი აქტიური **ერთობლივი მიმდინარე ანგარიში**.
9. **ერთობლივი დეპოზიტის** ვადის გასვლის შემდეგ, **დეპოზიტის თანხა** განთავსება **ერთობლივ მიმდინარე ანგარიშზე**.

# დანართი 17 - კრედო უნივერსალი

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** გააქტიურებს **კლიენტს კრედო უნივერსალის** მომსახურებას, რომლის საშუალებით, **კლიენტი** მიიღებს წინამდებარე დანართით ან/და **კრედო უნივერსალის განაცხადით** განსაზღვრულ მომსახურებას. ამასთან, წინამდებარე დანართით ან/და **კრედო უნივერსალის განაცხადით** განსაზღვრული მომსახურების პირობები შესაძლებელია შეიცვალოს ნებისმიერ დროს, **ბანკის** მიერ ცალმხრივად, რაც არ საჭიროებს **კლიენტის** დამატებით თანხმობას ან/და მის ინფორმირებას. ამასთან, **კრედო უნივერსალით** სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს.
2. **კრედო უნივერსალის** ფარგლებში **კლიენტი კრედო უნივერსალის განაცხადში** სხვადასხვა **საბანკო პრუდუქტით** სარგებლობის სანაცვლოდ გადაუხდის **ბანკს საკომისიოს** შეღავათიანი პირობებით (დეტალები განისაზღვრება **სტანდარტული პირობების** დანართ N1-ით).
3. **კლიენტის** მიერ **კრედო უნივერსალით** სარგებლობის საკომისიოს გადახდის ვადის 90 (ოთხმოცდაათი) დღის გადაცილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია (თუმცა არა ვალდებული) გააუქმოს **კლიენტს კრედო უნივერსალის** მომსახურება.
4. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მიმართოს **ბანკს კრედო უნივერსალის** გაუქმების/აღდგენის მიზნით.
5. **კრედო უნივერსალის** გაუქმების შემთხვევაში **კრედო უნივერსალის** სარგებლობისათვის გადახდილი ღირებულება დაბრუნებას არ ექვემდებარება.

## დანართი 18 – იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკი business.mycredo.ge

1. **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკი** გაუაქტიურებს **კლიენტს იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკს business.mycredo.ge**, რომლის საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილი იქნება მისცეს **ბანკს დავალება** დისტანციურად და მოითხოვოს **business.mycredo.ge ინტერნეტ-ბანკით** დაშვებული **ოპერაციების** განხორციელება. ამასთან, **business.mycredo.ge ინტერნეტ-ბანკით** დაშვებული **ოპერაციების** ტიპები და მათი განხორციელების პირობები შესაძლებელია შეიცვალოს ნებისმიერ დროს, **ბანკის** მიერ ცალმხრივად, რაც არ საჭიროებს **კლიენტის** დამატებით თანხმობას ან/და მის ინფორმირებას.
2. **იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკით business.mycredo.ge** სარგებლობისათვის **კლიენტს** გააქტიურებული უნდა ჰქონდეს ფიზიკური პირების ინტერნეტ ბანკი www.mycredo.ge.
3. **იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკით business.mycredo.ge** სარგებლობისთვის კლიენტმა უნდა გაიაროს ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზაცია.
4. **იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკით business.mycredo.ge** ავტორიზაციისას სახელით (username) ან/და პაროლით (password) სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში ინტერნეტ-ბანკი დაიბლოკება 30 წუთით. ამასთან, ინტერნეტ-ბანკის დაბლოკვის შემთხვევაში, თუ ის გამოწვეულია რომელიმე ელემენტის სამჯერ არასწორად დაფიქსირებით, **კლიენტი** უფლებამოსილია პაროლის აღსადგენად დაუკავშირდეს **ბანკის** სატელეფონო ცენტრს შემდეგ ნომერზე: +(995 32) 2424242, ხოლო ინტერნეტ-ბანკში ავტორიზაციისათვის აუცილებელი მომხმარებლის სახელის (username) დაკარგვის შემთხვევაში, მის აღსადგენად **კლიენტმა** უნდა მიმართოს **ბანკის** სერვის-ცენტრს ან გამოიყენოს **მობაილ ბანკი.**
5. **იურიდიული პირების ინტერნეტ-ბანკით business.mycredo.ge** სარგებლობისათვის **კლიენტი** უნდა შევიდეს ინტერნეტ-ბანკის **ვებ-გვერდზე,** გაიაროს ავტორიზაცია და მისცეს **ბანკს დავალება** სხვადასხვა **ოპერაციების** განხორციელების მიზნით. ინტერნეტ-ბანკით **კლიენტს** შეუძლია მოითხოვოს შემდეგი **ოპერაციის** განხორციელება:
    - ანგარიშის/დეპოზიტის/სადეპოზიტო სერთიფიკატის თაობაზე ინფორმაციის მიღება;
    - საბანკო ბარათის თაობაზე ინფორმაციის მიღება;
    - კრედიტების თაობაზე ინფორმაციის მიღება;
    - ტრანზაქციების ისტორიის ნახვა;
    - კლიენტის მიერ ინტერნეტბანკით შექმნილი დოკუმენების ნახვა/ბეჭდვა;
    - ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციის დამადასტურებელი დოკუმენტების/ამონაწერის ნახვა/ბეჭდვა;
    - საკუთარ ანგარიშებს შორის თანხის გადარიცხვა;
    - კომუნალური გადახდების განხორციელება;
    - კონვერტაცია;

- ვალუტის კურსის ნახვა;
- მესამე პირთან თანხის გადარიცხვა;
- ბიუჯეტში თანხის გადარიცხვა;
- გადარიცხვის/გადახდის შაბლონის შექმნა/ნახვა;
- დამატებითი მომხმარებლების და მათი ხელმოწერების მართვა.

6. **დამატებით მომხმარებელს** შესაძლებელია ჰქონდეს პირველი, მეორე და მესამე ხელმოწერის დონე.
7. **დამატებით მომხმარებელს/ძირითად მომხმარებელს** ცალკეული ოპერაციისთვის შესაძლებელია დაუწესდეს ლიმიტი.
8. ნებისმიერი კალენდარული დღის განმავლობაში გადარიცხვის **დავალების** ინიცირების შემთხვევაში, **ოპერაცია** შესრულდება არაუმეტეს 500,000 (ხუთასი ათასი) ლარის ან/და ეკვივალეტის ფარგლებში უცხოულ ვალუტაში, გადახდის დღისთვის **ბანკის** მიერ სპეციალურად ინტერენტ-ბანკისთვის დადგენილი კომერციული კურსით.
9. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის დავალების** მიცემის მომენტში, **კლიენტის ანგარიშზე** არ იქნება შესაბამისი თანხა ხელმისაწვდომი, **დავალება** ავტომატურად გაუქმდება.
10. იმ შემთხვევაში, თუ **დამატებითი მომხმარებლის** მიერ ინტერნეტ-ბანკში შექმნილ დოკუმენტს არ დაადასტურებს **ძირითადი მომხმარებელი** 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, დოკუმენტი ავტომატურად გაუქმდება და **ბანკს** არ წარედგინება **დავალება.**
11. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა იმ **დავალებაზე,** რომელსაც იგი გასცემს ავტორიზაციის შემდეგ. აღნიშნული მოიცავს როგორც **დამატებითი მომხმარებლის,** ასევე **ძირითადი მომხმარებლის** მიერ გაგზავნილ ნებისმიერ **დავალებას.**
12. **კლიენტი** უფლებამოსილია **დამატებით მომხმარებელს** განუსაზღვროს, შეუცვალოს, შეუწყვიტოს უფლებამოსილებები, მათ შორის **ოპერაციის** განხორციელების ლიმიტი. **კლიენტი** სრულად არის პასუხისმგებელი ინტერნეტ-ბანკში განხორციელებულ ნებისმიერ **ოპერაციაზე.**
13. ინტერნეტ-ბანკით განხორციელებულ ნებისმიერ **ოპერაციაზე კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს ელექტრონული საბუთი.
14. **კლიენტი** უფლებამოსილია ნახოს **ბანკში** დაფიქსირებული საცხოვრებელი/იურიდიული მისამართი ან/და **ბანკში** დაფიქსირებული მისი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი.
15. ინტერნეტ-ბანკით სარგებლობის დეტალური პირობები შესაძლებელია განთავსდეს უშუალოდ ინტერნეტ-ბანკის **ვებ-გვერდზე.**
16. **კლიენტი** ვალდებულია ინტერნეტ-ბანკის მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, **ბანკში** იქონიოს მინიმუმ ერთი აქტიური მიმდინარე **ანგარიში.**

17. **კლიენტს** უფლება აქვს **განაცხადის** ან/და **ინტერტერნეტ ბანკით** საფუძველზე განსაზღვროს კონკრეტული დავალების გაცემის ან/და **ოპერაციის** შესრულების სტანდარტები და **კლიენტის** წარმომადგენლების უფლებამოსილების დონეები. აღნიშნული სტანდარტებისა და უფლებამოსილების დონეების შემდგომი ცვლილება ასევე დასაშვებია უშუალოდ ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით, დისტანციურად, **ბანკში** დადგენილი პირობების შესაბამისად.

18. **კლიენტს** უფლება აქვს **განაცხადის** ან/და **ინტერტერნეტ ბანკის** საფუძველზე განსაზღვროს **დამატებითი მომხმარებლის** ფუნქციები, ხელმოწერის დონეები და გადარიცხვის დღიური ლიმიტები.

19. **კლიენტი** ვალდებულია, ინტერნეტ-ბანკის **განაცხადის** შევსების მომენტში, **ანგარიშზე** იქონიოს ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისათვის გათვალისწინებული **საკომისიო** იმ მოცულობით, რის გადახდაც **კლიენტს** უწევს შესაბამისი **განაცხადის** ხელმოწერის თარიღში.

20. **კლიენტის** მიერ ინტერნეტ-ბანკით სარგებლობის **საკომისიოს** გადახდის ვადის 1 (ერთი) თვით გადაცილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია (თუმცა არა ვალდებული) გაუთიშოს **კლიენტს** ინტერნეტ-ბანკი.

21. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მიმართოს **ბანკს** ინტერნეტ-ბანკში წვდომის შეჩერების/გაუქმების/აღდგენის მოთხოვნით (როგორც საკუთარი ისე მიერ განაცხადით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე მომხმარებლისათვის, ასეთების არსებობის შემთხვევაში).